პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

2 ივლისი, 1936 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | № 10 ფასი 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ბ ე რ ი ა

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია



საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო ძირითადად მოიწონა პროექტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციისა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე კომუნიზმის საქმისათვის მთელს მსოფლიოში.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ადასტურებს იმ უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილ წლებში.

ახლა ამ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებათა საფუძველზე, მასების აქტივობისა და პოლიტიკური შეგნების ზრდის საფუძველზე ჩვენ უკვე შეგვიძლიან ბოლომდე გავშალოთ საბჭოთა დემოკრატია, მშრომელთა ნამდვილი დემოკრატია.

იმ დროს, როცა კაპიტალისტური ახელმწიფოები მიდიან ფაშისტური [illegible]ექტატურის, მშრომელი მასების [illegible]ვით ელემენტარულ უფლებათა შემ[illegible]ომი დათრგუნვისა და წართმევის [illegible]თ, საბჭოთა სახელმწიფო მიდის [illegible]ელი ხალხისათვის ნამდვილი დე[illegible]რატიის უფართოესი განვითარე[illegible]ზით. ამაში მდგომარეობს ჩვენი [illegible]ს უდიდესი გამარჯვებანი. ამა[illegible]ერეობს საკ. კ. პ. (ბ) ცენ[illegible] კომიტეტისა და ჩვენი პარ[illegible]ოის—დიდი სტალინის გე[illegible]ელმძღვანელობის გამარ[illegible]

[illegible]ის გამარჯვებებმა, რაც [illegible]ინური ნაციონალური [illegible]ად გატარების შე[illegible]ეროვნებათა მდგო[illegible] კავშირში, შესცვა[illegible]ლური რესპუბლი[illegible]

[illegible]ციის პროექტი, [illegible]ლური კომიტე[illegible]ი კავშირის ცა[illegible] მოწონებული, [illegible]კავკასიის ფე[illegible] და ამიერ[illegible]—საქართველ[illegible]ა სომხეთის [illegible] კავშირში. [illegible]აპირ გამომ[illegible]ის გენერა[illegible] კონალური [illegible] და გამარ[illegible]ღიწეულია

[illegible]ლენინ-სტალინის [illegible]ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწ[illegible]ყვეტილებას, ამიერ-კავკასიის ბოლ[illegible]

[illegible]ლენინისა და სტალინის საერთო [illegible]ნადადებით, 1921 წლის 29 ნოემ[illegible]ბერს რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურამ კომ[illegible]ტეტმა მიიღო ამიერ-კავკასიის ფე[illegible]დერაციის შექმნის გადაწყვეტილება, [illegible]რომელშიაც ამიერ-კავკასიის რესპუ[illegible]ლიკათა ფედერაცია სცნო პრინციპუ[illegible]ლად აბსოლუტურად სწორად, რაც [illegible]აუცილებლად უნდა ყოფილიყო გან[illegible]ხორციელებული, და წინადადება მის[illegible]ცა საქართველოსი, სომხეთისა და [illegible]აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტე[illegible]ტებს ცხოვრებაში გაეტარებინათ ეს [illegible]გადაწყვეტილება.

ასრულებდნენ რა ლენინ-სტალინის [illegible]ამ პირდაპირ მითითებას და რ. კ. პ. [illegible](ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწ[illegible]ყვეტილებას, ამიერ-კავკასიის ბოლ[illegible]შევიკებმა, ამხ. ს. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, შეჰქმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

ა.-კ. ფედერაციის შექმნამ და განმტკიცებამ, როგორც ცნობილია, ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში განვლო.

ნაციონალ-უკლონისტებს არ ესმოდათ რევოლუციის განვითარების იმ პერიოდის მთელი თავისებურება და ილაშქრებდნენ ფედერაციის წინააღმდეგ.

მათ არ ესმოდათ, რომ ა.-კ. ფედერაციის შექმნისა და განმტკიცების საკითხი იმ პერიოდში წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხს.

ნაციონალ-უკლონისტები, რომლებსაც არ ესმოდათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ბრძოლის ეს პირველხარისხოვანი ამოცანა, ქართველ მენშევიკთა, სომეხ დაშნაკთა, და აზერბაიჯანელ მუსავატელთა პოზიციებზე ეშვებოდნენ.

ჰქმნიდნენ და ამტკიცებდნენ რა ა.-კ. ფედერაციას, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა დიდი ბრძოლა ჩაატარეს ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტური ოპოზიცია, რომლის ნაწილი, როგორც ცნობილია, შემდეგ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ბანაკში გადაბარგდა.

ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა მემარჯვენე-ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური და კულაკური ელემენტების ზეგავლენას ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ცალკეულ ფენებზე.

ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა იმ შემტევი ქართული შოვინიზმის აშკარა გამოხატულებას, რომელიც ცდილობდა გადაეკცია ამიერ-კავკასია ეროვნებათა შორის შეტაკებათა ქვეყნად, ცდილობდა აღედგინა მენშევიკური ბატონობის დროება, როცა შოვინისტური გააფთრებით შეპყრობილი ადამიანები ერთმანეთს სწვავდნენ და ხოკავდნენ.

ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს სურდათ გამოეყენებინათ საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიური უპირატესობანი, რომლებიც იქიდან წარმოსდგება, რომ იგი ჰფლობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო პუნქტებს, როგორიც არის ტფილისი და ბათომი. ამ საფუძველზე ისინი მოითხოვდნენ საქართველოს გამოსვლას ამიერ-კავკასიის ფედერაციიდან, უნდოდათ საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხარჯზე შექმნათ პრივილეგიები საქართველოსათვის.

აგრარულ-გლეხურ საკითხში ნაციონალ-უკლონისტები გამოხატავდნენ ქართველი თავად-აზნაურებისა და კულაკების ინტერესებსა და მოთხოვნებს, ისინი იცავდნენ კულაკურ აგრარულ პოლიტიკას, იყენენ რა ჩვენი სოფლის განვითარების კაპიტალისტური გზების მღაღადებელნი და დამცველნი.

ნაციონალ-უკლონიზმის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ თავისი გამარჯვების შემთხვევაში იგი განამტკიცებდა ბატონყმობის ნაშთებს სოფლად, განამტკიცებდა კულაკობის პოზიციებს, გადააქცევდა საქართველოს და ამიერ-კავკასიას ერთაშორის შეხლა-შემოხლისა და სისხლისმღვრელ შეტაკებათა ასპარეზად, ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან ინტერნაციონალურ ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხელფეხს გაუხსნიდა მენშევიკთა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა რეაქციულ ძალებს და ამით გზას გაუკაფავდა იმპერიალისტურ ინტერვენციას და კაპიტალიზმის რესტავრაციას.

ამიტომ ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლა, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისათვის ბრძოლა იმ პერიოდში მოასწავებდა ბრძოლას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ამიტომ იყო, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ასე დაუნდობლად ანადგურებდნენ მაშინ ნაციონალ-უკლონიზმს.

○

მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნითა და განმტკიცებით შესძლეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა სოციალისტური მშენებლობის ამ უდიდეს წარმატებათა მიღწევა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, რომლებიც დღეს გვაქვს და რომლებისათვისხც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები პარტიამ და მთავრობამ ლენინის ორდენებით დააჯილდოვეს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში—კიდევ უფრო გლეხური ქვეყნები, ვიდრე რუსეთი (ლენინი), ახლა ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად იქცნენ. პირველ ხუთწლედის გეგმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში წარმატებით და ვადამდე შესრულდა. წარმატებით სრულდება მეორე ხუთწლედის გეგმა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა მძლავრი ინდუსტრია. გაიზარდა ნავთის მრეწველობა აზერბაიჯანში. გაიზარდნენ მარგანეცის, ქვანახშირის, სამთამადნო და მრეწველობის სხვა დარგები საქართველოში, სომხეთში აშენდა და შენდება ქიმიური და სპილენძის მრეწველობის მსხვილი საწარმოები.

მრეწველობისათვის შექმნილია მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები.

მრეწველობის ხვედრითმა წონამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საერთო სახალხო მეურნეობაში უკვე 72 პროცენტს მიაღწია.

უდიდესი გამარჯვებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. გლეხური მეურნეობათა დაახლოვებით 80 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების საფუძველზე უკანასკნელ წლებში მიღწეულია კოლმეურნეობათა განმტკიცება და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების ზრდა. უდიდესი მუშაობა ჩატარდა სპეციალური და ტექნიკური კულტურების—ბამბის, ჩაის, ციტრუსების, ვენახის, თამბაქოს, ტუნგოს და სხვ. განვითარებისათვის. დიდი სამუშაოები შესრულდა და სრულდება ამოშრობის და მორწყვის დარგში (კოლხიდა, მუღანი, ალაზანი, კირი და სხვ).

სოფლის მეურნეობისათვის შექმნილია მძლავრი ტექნიკური ბაზა. შექმნილია სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობენ კომბაინები, ავტომობილები და ათი ათასობით სხვადასხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გაიზარდა ამიერ-კავკასიის ხალხთა კულტურა, სავსებით ისპობა წერა-კითხვის უცოდინარობა, შეიქმნა უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი, სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტთა ქსელი, ვითარდება ლიტერატურა და ხელოვნება.

შექმნეს და განამტკიცეს რა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიკებმა და მშრომელებმა ბოლომდე აღმოფხვრეს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ნაციონალური შუღლის გამოვლინებანი და დაამყარეს მათი ურყევი მეგობრობა.

ამხ. მოლოტოვმა 1935 წლის დეკემბერში, საბჭოთა სომხეთის მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს, თავის გამოსვლაში შემდეგი სთქვა ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობის შესახებ:

„ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მრავალერიან ამიერ-კავკასიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის, ბრძოლა, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ კაპიტალისტები და მეფის მსახურნი, რომ ახლა ეს ბრძოლა საბოლოოდ ლიკვიდირებულია და რომ ამ ბრძოლის ადგილზე იფურჩქნება ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა შეთანხმებული ცხოვრება“.

დიდი და ურყევია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხალხების მშრომელთა ურთიერთმეგობრობა, დიდი და მტკიცეა ამიერ-კავკასიის ხალხების მშრომელთა მეგობრობა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მშრომელებთან.

შექმნეს და განამტკიცეს რა ა.-კ. ფედერაცია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიკებმა და მშრომელებმა შეერთებული ძალღონით სხბოლოოდ გაანადგურეს მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა კონტრრევოლუციური პარტიები და მოახდინეს უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის—კულაკობის ლიკვიდაცია.

ჩვენი პარტიის გამარჯვებამ სოციალისტურ მშენებლობაში, სოფლად საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებამ ძირფესვიანად მოსპეს მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა კონტრრევოლუციური საქმიანობის ნიადაგი.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებისათვის, პარტიის გენერალური ხაზისა და მისი ნაციონალური პოლიტიკისათვის ბრძოლაში წარმოიშვნენ და გამოიზარდნენ მუშაკთა კადრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. გაიზარდნენ პარტიულ, სამეურნეო, საბჭოთა ხელმძღვანელების კადრები. გაიზარდნენ სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციისა და ჩვენი სამშობლოს შესანიშნავ ადამიანთა—სტახანოველთა კადრები, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის უაღრესად სხვადასხვა უბნებზე სანიმუშო მუშაობის მაგალითებს იძლევიან. ამ კადრების ზრდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ჩვენი პარტიის ერთერთ ყველაზე დიდ წარმატებას წარმოადგენს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიერ მიღწეულმა ყველა ამ უდიდესმა წარმატებამ შეჰქმნა პირობები ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის. ამაში მდგომარეობს საბჭოთა სახელმწიფოს დიალექტიკური განვითარების პროცესის კანონზომიერება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო—ეკონომიური ურთიერთობანი დღეს აღარ განისაზღვრებიან მარტო ფედერაციის შიგნით არსებულ ურთიერთობებით.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, თავიანთი მზარდი მეურნეობის პირობების გამო, ახლა ფართო სამეურნეო კავშირი აქვთ მთელი საბჭოთა კავშირის მრავალ მხარესთან და რესპუბლიკასთან.

გაფართოვდა და განმტკიცდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის უშუალო კულტურული კავშირიც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა ამ პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულების განვითარებამ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან და მხარეებთან სულ ახალი მდგომარეობა შექმნა თვითეული ამ რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირის სისტემაში.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებანი ნაციონალურ რესპუბლიკებში ამჟამად პარტიის წინაშე აყენებენ ახალ ამოცანებს ნაციონალური საკითხის დარგში. ნაციონალურ რესპუბლიკებში შექმნილია მრეწველობა, მასში გამოიზარდნენ მუშათა კადრები. რევოლუციამდე ამიერ-კავკასიის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში 67.200 კაცი იყო, ხოლო 1936 წლის 1 იანვრისათვის—312.200 კაცი. ნაციონალურ რესპუბლიკათა გლეხობა დღეს საკოლმეურნეო წყობილებისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული კოლმეურნე გლეხობაა.

ამისდა მიხედვით - პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ შემდეგშიაც განვამტკიცოთ სწორი ნაციონალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის მშრომელთა (მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციას) შორის, რომლებიც გაერთიანებული არიან დიდ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებად და რომლებმაც უკვე მიაღწიეს არა მარტო უფლებრივ, არამედ ეკონომიურ თანასწორობასაც.

1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაუშვა მეტის მეტი ცენტრალიზაცია ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, რამაც მთელ რიგ დარგებში გამოიწვია რესპუბლიკური ორგანოების გაუპიროვნება.

ამავე გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს—უზრუნველეყოთ ა-კ. ფედერაციაში შემავალ ნაციონალურ რესპუბლიკათა ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლა.

ნაციონალურ რესპუბლიკათა თვით მოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის განვითარების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ამ მითითებათა შესრულებამ მოამზადა პირობები ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის საკითხის დასაყენებლად.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ დიდი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებისათვის. მან მთლიანად გადასჭრა მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა, და ამიტომ ა.-კ. ფედერაციის ლიკვიდაცია, რაც დასახულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში, წარმოადგენს სავსებით სწორსა და დროულ ნაბიჯს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი მშენებლობის გზაზე.

ზოგიერთი ყოფილი ნაციონალ-უკლონისტი, ერთდროს რომ ა.-კ. ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ იბრძოდა, ახლა, ალბათ, ჩუმ-ჩუმად დაიწყებს ლაყბობას, თითქოს ისინი—ნაციონალ—უკლონისტები მართალი იყვნენ, თითქოს წინადადება ა.-კ. ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ მოწონებული, მათი წინანდელი სიმართლის დადასტურებას წარმოადგენდეს.

განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ სრული სისულელე და ანტიპარტიულია ყოფილ ნაციონალ-უკლონისტთა ასეთი ლაყბობა?

როგორც სჩანს, ნაციონალურ რესპუბლიკებში სოციალისტურ მშენებლობის უდიდეს გამარჯვებათა მთელმა 15 წელმა ამ ხალხს გვერდით ჩაუარა, და მათ დღემდე არ ესმით არც თავიანთი წინანდელი შეცდომები, არც ის, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში დღეს. ისინი სცდებოდნენ მაშინ, სცდებიან ახლაც.

ეჭვს გარეშეა, დიდმპყრობელური ელემენტებიც შეეცდებიან გამოვიდნენ ხოლმე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის შესახებ მიღებულ ამ მსოფლიო ისტორიულ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

ეჭვს გარეშეა, საბჭოთა ხელისუფლების ყველა დაუძინებელი მტერიც, პირველ რიგში ტროცკისტ—ზინოვიეველთა განადგურებულ-ჯგუფების ნაშთებიდან, შეეცდებიან გამოიყენონ ახალი კონსტიტუცია თავიანთი კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა საბოლოოდ მოვსპოთ, მიწის პირიდან აღვგაოთ სოციალისტური მშენებლობის მტრები, რა ნიღაბსაც უნდა ეფარებოდნენ ისინი და ამ საფუძველზე მივაღწიოთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო მეტ განმტკიცებას. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკები და ყველა მშრომელნი უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს სტალინური კონსტიტუციის შესახებ.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკები, რომლებმაც უდიდესი მუშაობა გასწიეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ამ რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის გაჩაღებისათვის, რომლებმაც ჩაატარეს ბრძოლა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ პარტიებთან, ტროცკიზმთან და ნაციონალ-უკლონიზმთან და დიდ წარმატებებს მიაღწიეს მასების ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის ურყევი მეგობრობის განმტკიცების საქმეში,—შემდეგშიაც შეურიგებლად და განუხრელად იბრძოლებენ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის.

„პრავდა“ 12/VI.

საშობლოს დაცვა საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქის უწმინდესი გალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის მშენებლის უფლებათა ხარტია

მთელი ჩვენი დიდი კავშირის, მთელი დედამიწის მშრომელი მოსახლეობა განიცდის თავისი ცხოვრების უბედნიერეს წუთებს. ის, რასაც საუკუნეებს განმავლობაში ოცნებობდა კაცობრიობის მოწინავე ნაწილი, ის, რისთვისაც დაიღვარა მილიონების ზღვა სისხლი, დღეს უკვე არის ურყევი ფაქტი — აღბეჭდილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტში.

მილიონები კითხულობენ, სწავლობენ, იზეპირებენ მას და სრული ნეტარებით ზეიმობენ, რადგან მასში ხედავენ საუკეთესო იდეალების განხორციელებას, უმაღლესი ჰუმანურობის აქტს, სოციალიზმის მშენებელი ადამიანის უფლებათა უღიდეს ხარტიას, რომლის ცენტრში დგას ზრუნვა მშრომელი ადამიანისათვის.

ახალი კონსტიტუცია — ეს არის დროშა, რომელზედაც აღბეჭდილია საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის უკვე მოპოვებული, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ნაწილისათვის ბრძოლით მოსაპოვებელი დიადი უფლებები.

გამოუთქმელი სიხარულით, სიამაყით, იმედითა და შეურყეველი რწმენით ავსებს დღეს საბჭოთა მოქალაქის გულს ის ფაქტი, რომ დედამიწის ერთ მეექვსედზე უკვე განხორციელდა დიადი იდეალი შრომის სუფევა, რომ ჩვენი დიდი სამშობლო უკვე გადაიქცა თანასწორუფლებიან მშრომელ ადამიანთა საზოგადოებად სოციალისტურ სახალხო რესპუბლიკად, სადაც ყოველი მოქალაქისათვის შრომის, დასვენების, განათლების ფლებები უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალების შეუჩერებელი ზრდით.

ბედნიერების გამოუთქმელ გრძნობას განიცდიან წინათ დევნილ, გათელილ და დავიწყებულ ერთა შვილები, როცა ეცნობიან დოკუმენტს, რომელიც არა თუ ადასტურებს ჩვენს დიდ კავშირში უკვე განხორციელებულ ერთა სრულთანასწორუფლებიანობას, არამედ კანონის მთელი სისასტიკით სჯის უფლების რამე პირდაპირ, ან არაპირდაპირ შეზღუდვას, მოქალაქეთა პირდაპირ, ან არაპირდაპირ უპირატესობის შემოღებას მათი რასიული და ნაციონალური კუთვნილების მიხედვით.

კონსტიტუციის ეს მუხლი (123) არის ინტერნაციონალური ძმობის იმ დიდი პოლიტიკის ტრიუმფი და დაგვირგვინება, რომელსაც მუდამ ანხორციელებდა ლენინ-სტალინის დიადი პარტია.

ამ პოლიტიკის გამტარებელი იყო ლენინისა და სტალინის მითითებით, სერგო ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილი ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელმაც სასახელოდ შეასრულა ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური დაძმობილების დიდი ისტორიული მისია და ამიერიდან უქმდება, მაგრამ არასდეს არ გაუქმდება მის მიერ ერთა შორის დანერგილი და განმტკიცებული მეგობრობა, ძმური სიყვარული, შეხმატკბილებული თანამშრომლობა ჩვენი დიდი სამშობლოს სამეურნეო და კულტურული აყვავებისათვის.

შედეგი რა უშუალოდ საბჭოთა კავშირი ბედნიერ ოჯახში, ქართველ ხალხს და მის მწერლობას ურყევად სჯერა, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს სახელმწიფოს, რომელიც ეყრდნობა ასეთი უფლებებით მოსილ ერებს და მოქალაქეებს.

ამ უდიდესი აქტით — მშრომელი ადამიანის უფლებათა უბადლო ხარტიის გამოქვეყნებით აღფრთოვანებული და სასიხარულო შემოქმედებისათვის შთაგონებული საქართველოს საბჭოთა მწერლობა, რომელსაც სულდგმულებს მხოლოდ ერთი მისწრაფება — ნამდვილად გახდეს მშრომელთა სახალხო რესპუბლიკის სწორუპოვარ მოქალაქეთა უბედნიერეს გრძნობათა გამომხატველი, გულიდან აღმომსკდარ თავის აღტაცებას უერთებს მილიონების მგრგვინავ შეძახილს!

ვაუმარჯოს ახალი ცხოვრების შემომქმედს, ჩვენი ეპოქის უჭეშმარიტეს ადამიანს — დიდ **სტალინს.**

უმაგალითო ბრძოლით მოპოვებული

ხალხური ზღაპრის სწორუპოვარ გმირივით წლობით კი არ იზრდება ს. ს. კავშირი. საათებით აღინიშნება მისი საკვირველი ზრდა და განვითარება. რა ნდა იყოს ოცი წელიწადი დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ სახელმწიფოთვის, ორასი მილიონიანი მცხოვრებისთვის? თვალის ერთი დახამხამება მხოლოდ. ა ამ ოცი წლის მანძილზე, რამდენი რა არის მოპოვებული უმაგალითო ბრძოლითა შრომით, საკვირველი შემოქმედებითა და უმაგალითო გაჭანებით? ახალი კონსტიტუცია ბრწყინვალე გვირგვინია ამ განვლილი ეპოქის და ამავე დროს იგი დასაბამია ახალი ხანისაც კავშირის განვითარებაში. კერძო საკუთრების უარყოფა და ციალისტურ საფუძვლებზე დამყარებული სახელმწიფო პირველი მოვლენაა კაცობრიობაში. ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენს იმ უდიდეს უღელტეხილს, რომელიც ახალ ძვრასა და გეზს აძლევს ისტორიას. სტალინის კონსტიტუცია თავისი დიდი ისტორიული დანიშნულების ურყეველი შეგნებით, გასაოცარი სიღრმითა და დატვირთვებელი უბრალობით მოხაზავს ამბანალი ძვრისა და გეზის საფუძვლებს.

მე ვერ დავფარავ ერთ რასმე. ჩემს აფრთოვანებას რომ ვაკვირდები, ვგრძნობ, რომ საერთო მოქალაქეობრივ სიხარულთან ერთად მას ერთნაირი გახარებაც ერთოს, რომელიც უნდა ვაღიარო. ეს გახარება არის იმით გამოწვეული, რომ ისტორიის უბადლო, საფულტეხილო დოკუმენტს თავიდან ბოლომდე აზრს წარუშლელი ქედი სტალინის გენიისა, რომელიც ქართველი ხალხის წიაღიდან მომდინარეობს.

რუსთაველის ძეგლის პროექტი დევიზი „აკადემია".

ყველაზე უფრო სრულყოფილი დემოკრატია

ახალი კონსტიტუცია ახალი გამომჟღავნებაა მისი ავტორის ამხ. სტალინის გენიალობისა. პირველი კონსტიტუცია „ყველას" არ ანიჭებდა სრულ უფლებებს. შეუძლებელიც იყო სხვანაირად მომხდარიყო. მაგრამ მას შემდეგ უღრმესი სოციალური ცვლილება მოხდა და ახალმა სინამდვილემ ახალი უფლებრივი საფუძველი წარმოშვა საბჭოთა სოციალ-სახელმწიფოებრივ წყობილებისა. ახალი კონსტიტუცია ამ ცვლილებებს ახალ ტერმინებშიც კი გამოსახავს. ამიერიდან საბჭოთა ინტელიგენცია მუშებს, კოლმეურნეებსა და წითელ არმიელებს უთანასწორდება უფლებრივად. ეს კონსტიტუცია სრულ შესაძლებლობას ანიჭებს მშრომელ ხალხს საკუთარი გაამჟღავნოს თავის შემოქმედებითი ძალები და თაოსნობა.

საბჭოთა უკლასო დემოკრატია მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო სრულყოფილი იქნება. მაგრამ (ამასმე დაუფალავად ვიმეორებ) ახალი უფლება ახალ ვალდებულებას გვაკისრებს. ჩვენ მოვალენი ვართ პარტიის ნდობა გავამართლოთ და მის ირგვლივ უწინდელზე უფრო მჭიდროთ შევჯგუფდეთ, რათა ლენინ-სტალინის პარტიის ახალი ბრძნული აქტი სავსებით განვახორციელოთ.

გედნიერი ცხოვრებისათვის

კლასობრივი საზოგადოების ანალიზისა და პროლეტარიატის ბრძოლის მეთოდების ძირითად სახელმძღვანელოდ კაცობრიობას ჰქონდა და აქვს მარქს-ენგელსის, „კომუნისტური მანიფესტი". ეხლახან გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია უღიდესი პროგრამაა, თუ როგორ მოეწყობა უკლასო სახელმწიფო, რომ უზრუნველყოს მყუდრო შრომა ყოველი მოქალაქის ზეაღმავალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

მე გულგრილად ვერ ვიფიქრებ, რომ მსოფლიო მნიშვნელობის აქტის, ამ უაღრესად დემოკრატიული, ჰუმანიური კანონის წამომწყები, გეგმის მიმცემი და გამომჭედი არის მთელი დედამიწის პროლეტარიატის ბელადი — **სტალინი.**

ხორცსასხმული მისწრაფებანი

ძნელია რაიმე ფორმის მოძებნა იმ სიხარულისათვის, საბჭოთა კონსტიტუციის გაცნობისას რომ განიცადე: გადავიკითხე იგი მრავალგზის ისეთის სიამითა და გულისყურით, როგორითაც მსოფლიო პოეზიის შედევრები გადამიკითხავს ხოლმე.

კაცობრიობის ისტორიაში ასე იყო: პირველი ურმისთვალის გაკეთებიდან პირველი რადიო აპარატის გამოგონებამდის ყოველი ეპოქის მოწინავენი ამისათვის ოცნებობდნენ: ისეთი სახელმწიფო შეექმნათ: ადამიანის, ერისა და კლასის ინტერესები ჰარმონიულად შეთავსებოდნენ ურთიერთს. საბჭოთა კონსტიტუციაში ხორცშესხმულია ყველა კეთილშობილური მისწრაფება კაცობრიობისა.

და ეს შესანიშნავი დოკუმენტი ქმნდება ისეთ მომენტში, როცა იტალიური ფაშიზმი გაზების, ავიაციის და ჰაუბიცების შემწეობით ანადგურებს უმწეო ფეხშიშველა აბისინელებს და კულტურული ევროპა გულხელდაკრეფილი შესცქერის ამ გაუგონარი ბოროტმოქმედებისა და ვაკხანალიის ტრიუმფს, ისეთ დროს, როცა ძლიერი ერების მიერ მცირეთა და უძლურთა დაჩაგვრას პოეტები და მწერლები ხოტბას ასხამენ, მეცნიერები და ფილოსოფოსნი თეორიულ „საფუძველს უქმნიან" და გოეტის და კანტის სამშობლოში საშუალო საუკუნეების იუდოფობას ჰქადაგებენ, (არა მარტო ჰქადაგებენ, არამედ სახელმწიფო მზრუნველობის საქმედაა იგი ქცეული). სადაც ლამისაა ფრანკფურტელი ჭინკების პროცესები მოაბრუნონ.

ჩვენთვის ზედმეტჯერ სასიხარულოა, რომ საბჭოეთის კონსტიტუციის პროექტის ავტორია დიდი სტალინი.

მე ვეკუთვნი იმ თაობას სტალინის პირველ შრომებს ეროვნული საკითხის გამო გულის ცახცახით და სიყვარულით რომ კითხულობდა. საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის გადაკითხვამ ეს ამბები კვლავ მომაგონა, ის იყო პირველი თესლი იფქლისა, ეს კონსტიტუცია კი რთველია იმ იდეების. მრავალნიან და მრავალერიან კავშირის ახალი და ახალი თაობანი ჩვენზე მეტად გაიხარებენ ამ რთველის მწიფე ნაყოფით.

საბჭოთა კონსტიტუცია უპირველესი გარანტიაა იმ ერებისათვის, ვისი სახელი უკვე ამოშლილი იყო მსოფლიოს გეოგრაფიის რუქიდან, ვისი სახელიც უკვე ჩამქრალი იყო. ოქტომბრის რევოლუციამ აღადგინა ეს ხალხები და საბჭოთა კონსტიტუციამ ხმა დაუბრუნა მათ, ვისაც ხმა ჩაუწყვეტინა ძლიერთა და მტარვალთა უტლანქესმა ჩექმამ.

მრავალ უისტორიო ერს პირველი ანბანი შეუქმნა რევოლუციამ და ამ კონსტიტუციის ჩრდილში მრავალი ახალი ენა ამეტყველდება და ახალი კულტურა აღორძინდება. ისეთნაირ არიან საბჭოთა კავშირში ვისაც ისტორიაც დიდი ჰქონდათ, კულტურაც უდიდესი. მაგრამ ხიშტების სიმრავლემ და მტარვალების გულბოროტებამ უსახელო პროვინციებად აქცია მათი ქვეყნები ცარიზმის დროს. ასეთნი მომეტებულის ენერგიით გაიღებენ ახალსა და ახალ ძალებს შემოქმედებისას და კაცობრიობის კულტურის ვარსკვლავეთს უფრო მეტად დაამშვენებენ.

ეს კონსტიტუცია დიდი ხარტიაა მაშვრალთა და შემოქმედთათვის.

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული სამყაროს ლოზუნგია: ყველამ ის მიიღოს, რაც მამათაგან წილადხვდომია და ყველას ის მიუგეთ ვინც რამდენს წაგგლეჯთ.

საბჭოეთის დიდი დევიზია: ყველას უნარის მიხედვით მოეთხოვოს და შრომის მიხედვით მიეზღოსო ყოველკაცს. ამისათვის იბრძოდა ყოველი დროის უწარჩინებულესი მშრომელი და შემომქმედი, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამდე სწორედ პირუკუღმა იყო: უქნარისათვის და შლეგებისათვის მუდამ ბაღნარი ყოფილა ეს ქვეყანა, ხოლო გენიოსებისათვის მუდამ საპყრობილე. შემოქმედთათვის მძიმე ბორკილი და მშრომელთათვის გახურებული ცრემლის ღილეგი.

შრომის ნაყოფს უქნარნი იმკიდნენ და ტალანტი მუდამ ისე უტრებიათ ტალანტის პატრონთ, როგორც პირველი წყევლა მშობლისა.

დიდ აღორძინებას უქადის ეს მრავალჭირნახულ ქართველ ხალხს და მის კულტურას ჭალარით მოსილს. ეს კონსტიტუცია დიდი ხარტიაა მშრომელთათვის, დიდი თავკიდური იმ თვითდადგინებისა, რომლისათვის ბრძოლაში საუკეთესო გულის სისხლი შეუწირავს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ვაჟკაცებს.

მხარი მივეცით ჩვენს ხელისუფლებას რათა ცხოვრება ამ დიდი კონსტიტუციის კალაპოტს შეუთანხმოთ.

საბჭოთა კონსტიტუცია იძლევა დიდ გარანტიას როგორც საქართველოს, ისე მთელი საბჭოეთის მწერლობის გარდაქმნისათვის.

შრომითა და ბრძოლით გავაძლიეროთ საბჭოთა საქართველო, რომელსაც წინ მიუძღვის ჩვენი ძვირფასი, დიდი **სტალინის** გენია და მისი უწარჩინებულესი მოწაფის, ქართული კულტურის დიდი მეგობრის, **ლავრენტი ბერიას** ვაჟკაცური მარჯვენა.

საამაყო საბჭოთა მოქალაქეობა

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტი იმდენად ღრმა მნიშვნელობის შემცველი დოკუმენტია, რომ იგი მოითხოვს ყოველმხრივსა და დეტალურ შესწავლას. მე მხოლოდ სამჯერ მოვასწარი მისი წაკითხვა და უნდა ვსთქვა, რომ შთაბეჭდილება განუზომელია.

ეს არის ისეთივე ახალი და უცნობი მოვლენა კაცობრიობის პოლიტიკურ წყობილებათა ისტორიაში, როგორც ის სოციალური სისტემა, რომელსაც იგი ასე ბრწყინვალედ ასახავს. დაწყებული შრომის მაღალი პრინციპით, რაც საფუძვლად უდევს საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობას, და გათავებული ეროვნულ-რასიული თანასწორობის გაუგონარი სიმტკიცითა და სისავსის აღიარებით, — პროექტი წარმოადგენს მშრომელთა სრული გამარჯვების, ნამდვილი დემოკრატიის უმაგალითო ტრიუმფს. კერძო-მოქალაქეობრივი ეროვნული და ზოგადსახელმწიფოებრივი ელემენტები აქ ისეთს ჰარმონიულ მთლიანობაშია მოცემული, რომ ანალოგიას კოსმიურ ძალთა წონასწორობაში თუ მონახავთ.

ეს არის უდიდესი სიბრძნითა და უმახვილესი ოსტატობით შესრულებული ფორმა იმ კოლოსალური შინაარსისათვის, რომელიც მოგვცა ჩვენმა მეჭუხარე ეპოქამ ოქტომბრის რევოლუციიდან დღევანდლამდე. და როცა ვუყურებ ამ პროექტით მოცემულ ახალ ქვეყნის ნათელ კონტურებს, კიდევ მიტის ძალით განვიცდი ჩემს გარშემო მომხდარ გრანდიოზული ძვრებისა და უდიდესი მშენებლობის მთლიან განათებას. და მე გაოცებით შევსცქერი სოციალისტური სამშობლოს ამ მონუმენტალური შენობას, რომელსაც აზის გენიალური ხუროთმოძღვრის, ხალხთა უსაყვარლესი ბელადის **ი. სტალინის** ბრწყინვალე ბეჭედი, და ვამბობ: ჭეშმარიტად საამაყოა საბჭოთა მოქალაქეობა, ვინაიდან უფლება გვაქვს ვთქვათ: ჩვენ პირველად განვახორციელეთ მშრომელთა ნამდვილი თავისუფლება და შევქმენით კონსტიტუცია, რომელზედაც ოცნებობდა მშრომელი კაცობრიობა მრავალ საუკუნეთა მანძილზე, ამიტომ ჩვენ ღირსნი ვართ ასეთი კონსტიტუციის და ჩვენი კონსტიტუცია ღირსია ჩვენისთანა მოქალაქეების.

ი. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლის იუბილე

1937 წელს სრულდება 100 წლიწადი ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გამოყოფილია საიუბილეო კომისია 13 კაცის შემადგენლობით. კომისიაში შედიან: ამხ. მალაქია ტოროშელიძე (კომისიის თავმჯდომარე), პ. აღნიაშვილი, აკ. თათარიშვილი, ვ. მირცხულავა, ნ. კიკნაძე (სახელგამი), კ. გორდელაძე (მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი), ალ. მაშაშვილი, გ. ღეონიძე (კომისიის მდივანი), დ. დემეტრაძე, მ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი, პ. დ. საყვარელიძე და ი. გრიშაშვილი. იუბილე გაიმართება 1937 წლის მაისში.

29 ივნისს საიუბილეო კომისიის პირველ სხდომაზე განხილულ იქნა საქმეშაო. გეგმა.

ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო, განზრახულია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: გამოვა ი. ჭავჭავაძის ნაწერების აკადემიური და მასობრივი გამოცემები. მეცნიერულად შესწავლილ იქნება მწერლის ბიოგრაფია. მოსკოვში „გოსლიტიზდატი" რუსულად გამოსცემს ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებების კრებულს ამხ. შ. ტოროშელიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

ი. ჭავჭავაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაიდგმება ძეგლი.

ტფილისში გაიმართება მწერლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საალიტერატურო-სამეცნიერო კონფერენცია. კოლმეურნეობებსა და წარმოებებში გაიმართება მასობრივი კრებები, სადაც განხილულ იქნება მწერლის ცხოვრება და შემოქმედება.

გამოყოფილია კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლის აღდგენას. სახლში მოეწყობა მწერლის მუზეუმი და ქართველ მწერალთა შემოქმედებითი კერა.

კომისიამ თავის პირველ სხდომაზე ცალკე საკითხები დაწვრილებით დამუშავებლად გადასცა სპეციალურ რად გამოყოფილ ამხანაგებს. 4 ივლისის სხდომაზე მოსმენილ იქნება გამოყოფილი ამხანაგების ინფორმაციები და საქმეშაო გეგმა საბოლოოდ იქნება დაზუსტებული.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან



რუსთაველის ძეგლის პროექტი დევიზი „მოქანდაკე"

შოთა რუსთაველის ძეგლი

„შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის პლენარული სხდომის დადგენილებით შოთა რუსთაველის ძეგლი ბრონზისა ... სახ. სკვერში (რუსთაველის პროსპექტის დასასრულს).

ზამოცხადებულ იქნა კონკურსი ძეგლის პროექტზე. ძეგლის პროექტების წარდგენის ვადად დანიშნული იყო მიმდინარე წლის 1 აპრილი. ძეგლის აგება კი და დამთავრდეს 1937 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის.

შემუშავებულ იქნა პირობები, რომლებიც უნდა გაეთვალისწინებიათ კონკურსში მონაწილეებს:

1. ძეგლი უნდა წარმოადგენდეს რუსთაველის პორტრეტულ ქანდაკებას, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედვას პოეტის არსებული უძველესი პორტრეტი. აგრეთვე მასალად უნდა გამოყენებულ იქნას შოთა რუსთაველის მხატვრული ლიტერატურა.

2. გარდა პორტრეტული ქანდაკებისა, ძეგლში მოცემული უნდა იქნას „ვეფხის-ტყაოსნის"-ს იდეების, მოტივებისა და პერსონაჟების განსახიერება ბარელიეფებისა და ფიგურების სახით.

3. რუსთაველის ძეგლთან ერთად უნდა გაფორმდეს არქიტექტურული ... თვით სკვერიც, საქართველოში არსებულ ძეგლების მასალების გამოყენებით.

4. ძეგლის სიმაღლე, კვარცლბეკიანურთ, მიწის ზედაპირიდან უნდა იყოს არა უმეტეს 10 მეტრისა.

5. ძეგლს მასალად გამოყენებულ უნდა იქნეს მარმარილო და გრანიტი.

კონკურსში უკვე წარმოდგენილია 16-მდე პროექტი. გამოფენა მოწყობილია საქართველოს მთავრობის სასახლის ირანულ დარბაზში. ამ დღეებში შესდგება ... ყურის სხდომა, რომელზედაც გამოტანილი იქნება საბოლოო დასკვნა წარმოდგენილი პროექტების ავ-კარგიანობის შესახებ.

რედაქცია არ შეუდგება პროექტების დეტალურ გარჩევას და მათ შეფასებას, არც იმას განიხილავს თუ თვითეული მათგანი რამდენად უპასუხებს კონკურსის პირობებს, ჩვენ ჯერჯერობით დაკავმაყოფილდებით წარმოდგენილი პროექტებიდან მიღებული პირველი შთაბეჭდილებების გამოქვეყნებით.

დევიზი „მოქანდაკეები". კვარცხლბეკი ფრიად ზომიერად და თავდაჭერილად არის გადაწყვეტილი. კარგად არის მოფიქრებული პროპორციები — იქმნება მონუმენტალობის შთაბეჭდილება, თვით ფიგურა თავისი სილუეტით ოთხივე მხრიდან დაახლოებით ერთნაირად აღიქმის, მაგრამ ავტორებს არ წარმოუდგენიათ გენერალური გეგმა და ამიტომ გაურკვეველია რამდენად შეეფერება ძეგლი გამოყენებულ ფილ ადგილს.

დევიზი „პოეზია". კომპოზიცია დ ფანტელი და დაკუცმაცებულია. კვარცხლბეკის გარშემო მოთავსებული კოლონადა და სკულპტურები ორგანიულად არ უკავშირდება მონუმენტს. საეჭვოა თვით ფიგურის მიმე პროპორციებიც.

დევიზი „ACADEMIA". დამაკმაყოფილებელია კვარცხლბეკისა და ფიგურის სიმაღლეთა შეფარდება, მაგრამ დეტალების გადაწყვეტისას სასურველი იყო მეტი ხემკაცრე. შეუფერებლად მიგვაჩნია აუზები ძეგლის გარშემო და განსაკუთრებით კი პირდაღებული ვეფხვები.

დევიზი „სსრ 15 წელი". (სურ. ხილეთ გაზეთის წინა ნომერში). ავტორ... წარმოდგენილი აქვს მთელი მოედნის გაფორმების მაკეტი. პროექტით, გარდა თვითონ შოთას ფიგურისა, გათვალისწინებულია კიდევ რამდენიმე სკულპტურული ჯგუფი. ... ჩვენის აზრით, ეს ჯგუფები სათანადოდ ვერ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ამიტომ ვერ ქმნის მთლიან მონუმენტალურ შთაბეჭდილებას. განსაკუთრებით ... მიუღებლად მიგვაჩნია კვარცხლბეკად წვრილი კოლონის გამოყენება.

შემდეგ ნომერში რედაქცია კვლავ დაუბრუნდება შოთას ძეგლის კონკურსის საკითხს.

ვლ. მაიაკოვსკი

პოემიდან „პარგია"

თითქმის მთელად
გადვიარე
მიწის
დიდი ხღერო,
ზედ ცხოვრებაც
კარგი არი,
ყოფნაც
— სასიმღერო.
და ჩვენში კი,
სადაც ურჩი
ბრძოლების ხმა
გვესმის,
ამ ტრიალში,
ამ ფუხფუხში,
კიდევ უკეთესი.
ჩიდის ჭუჭა,
თოთქოს გველი,
წინ
სახლები შვენის.
ჩემი არის
ჭუჭა ვრცელი,
ეს სახლებიც
— ჩემი.
მაღაზიათ მწყობრი
აგერ
ფანჯრებ
გაღებილი
დგას და
მოჩრჩს: სანოვაგე,
ჩასმელები,
ხილი
ყველს არ დასწვდეს
ბუზის ფრთები,
დოლბანდი აქვს
ნაზი,
ანათებენ
სანთურები
„შევამცირეთ
ფასი",
რომ დაუდგეს
დიდი დახლი
კოოპერაციებს,
დახლზე
უხვად გროშებს ვახლით,
რაც კარგია ძლიერ.

ალ აწყვია
წიგნთა რიგი,
ვხარობ:
როგორ შვენის,
მგოსანთ მწკრივში,
ფანჯრებს იქით
მეც ვარ
გამოჩენილი—
ეს ხომ შრომას
რესპუბლიკის
ერთვის
შრომაც ჩემი.
ბორბალს
მტვერი ადენ...
ქვამლად მიდის
მაღლა,
ჩემი
დეპუტატ...
ჩემს ავტოში
ახლა.
მოჩანს წითელ
სახლის
სხდომა არის,
ტაში:
ჩემს საბჭოში
— ფხიზლად ჩ...
წითელ
შენ...
ვარდისფრობენ...
სახ...
რევოლვერი
ცი...
ყველგან მიცა...
გ...
ჩემი
მი...
ცა ცისფერად...
შ...
აბრეშუმის ...
არასოდეს
დრო ასეთი...
მთარგმნ...

დ ი ს კ უ ს ი ა „მ თ ვ ა რ ი ს მ ო ზ ა ც ე ბ ა“-ზ ე

„მთვარის მოზაცება“ დიდი შემოქმედებითი ფანტაზიით დაწერილი ნაწარმოებია

კ. ჭიჭინაძის სიტყვიდან

კ. გამსახურდია ფრიად თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ჩვენს literatურულობაში. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა გადადგა წლების მესამოცეულში. ამ ვრცელ გზაზე კ. გამსახურდიას მოღვაწეობა მრავალფეროვანი იყო. გამსახურდიას ვიცნობთ როგორც პოეტს, როგორც ნოველისტს. მწერლობის დაწყებიდანვე ის გამოდიოდა, როგორც პუბლიცისტი. მისი ნაწარმოები „მთვარის მოტაცება“ წარმოადგენს მრავალმოღვაწეობის სინტეზს. „მთვარის მოტაცების“ პროზა უეჭველად პოეტურია. მისი მეტყველება აღტაცული და ლირიულია. ამ პოეტურ საწყისით აიხსნება ის, რომ გამსახურდია უფრო ძლიერია ჰქონია ის აღწერილობას მიმართავს. ... აქვს პოეტური თვალი მეტად ... ფსიქოლოგიური ინსწყობიერული, ... ებების გადმოცემა კი ნაკლებად ... ერხება. რომანი შესდგება 76 თავისაგან და ყოველ თავს თითქმის ... ამოუკიდებელი სიუჟეტი აქვს. ერთი მხრივ ეს ნაკლია, მაგრამ მეორე მხრივ ეს ამცირებს ავტორის ძალიან დიდ შემოქმედებითს ფანტაზიას. ... ის გარემოება, რომ ყოველ ... დამოუკიდებელი სიუჟეტი აქვს, ხელს უშლის რომანის ინტენსიურ მიმდინარეობას და აქუცმაცებს მთავარ თემას. მაგრამ ვიმეორებ ამ რომანში ავტორი იჩენს ძლიერ შემოქმედებითს ფანტაზიას. წინანდელ ნაწარმოებთან — „დიონისის ღიმილთან“ შედარებით კ. გამსახურდიამ ფაბულის დამუშავების მხრივ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და მომავალში ცხადია უფრო მეტ წარმატებებს მოიპოვებს.

კ. გამსახურდიას ენა უეჭველად საქებია, მაგრამ ვერ გავიზიარებ სტილის ასეთ მოქცევას „სახელის ჩემის“. მიუღებელია აგრეთვე საუბარის მესამე პირით გადმოცემა — მოვიდაო, წავიდაო და სხვ. ეს ადუნებს დიალოგს.

რაც შეეხება ნაწარმოების კომპოზიციას, ყოველად მიუღებლად მიმაჩნია ავტორის ჩარევა მხატვრულ ნაწარმოებში. რას ემგვანებოდა „ომსა და ზავში“ ტოლსტოი შეჭრილიყო.

რომანის თანამედროეობის საკითხის გამო მე არ ვიზიარებ მომხსენებელის აზრს. მე მგონია, რომ მხატვრული ნაწარმოების ღირსებას მატებს ის გარემოება, რამდენად მასში გადმოცემული იქნება ადამიანის, ზოგადი და მარადიული თვისებები.

ემხვარი ავზორის გუშინდელი დღეა

ვ. მგალობლიშვილის სიტყვიდან

„მთვარის მოტაცება“, მისი ავტორის შემოქმედებაში წარმოადგენს არკვეულ მიჯნას ძველსა და ახალს ორის. მთავარი მოტივი, რომელიც ... ასიათებდა კ. გამსახურდიას წინანდელ ნაწარმოებებს, ეს იყო იდეალიზმი, რასიული თეორია. „უკრაინის თემიდში“ კ. გამსახურდიამ სცადა განოთხოვებოდა წარსულს და განეცადა ბანმახლებელი ძალის ... ოლოგა. „უკრაინის თემიდით“ კ. ... ამსახურდიას შემოქმედებაში ჩაისახა გარდატეხა, რომელიც შემდეგ ... ანდათანობით განვითარდა.

„მთვარის მოტაცების“ ავტორი ... წარმოადგენს კაბინეტში ჩაკეტილ მწერალს, რომელიც შორიდან ... ეცქერის დიდ ძვრებს. პირიქით ის ... არის მწერალი, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს და გულისყურით ... ადევნებს თვალს ცხოვრების ... ანვითარებას, ეს რომანი დიდი დაკ... ვირვების, დაფიქრების და ტკივ... ლების შედეგია. საკითხების დაყენ... ების მხრივ „მთვარის მოტაცება“ ... ენციკლოპედიური ნაწარმოებია, სადაც დასმულია მრავალი საკითხი. ... იგი გვიჩვენებს იმ სამყაროს მსხვრევას, რომელზედაც კ. გამსახურდია ... ოდესმე შეყვარებული იყო. ერთი შეხედვით, ავტორი სინამდვილით გადმოგვცემს იმ სულიერ ტკივილებს, რომელთაც თარაშ ემხვარი განიცდიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ემხვარი თვით ავტორი იყოს. ის ბევრგან ემიჯნება თავის მგირს და მისი დღევანდელი დღე მიაჩნია თავის გუშინდელ დღედ. ... ემხვარი იმავე პოზიციებზე დგას, რომელზედაც იდგა ავტორი „დიონისის ღიმილში“. ორი გზის არჩევის საკითხში, ბოლშევიზმის თუ ფაშიზმის არჩევის საკითხში ემხვარი გარკვეულად სდგას ფაშიზმის მხარეზე. არ არის სწორი მომხსენებლის დებულება, თითქოს ემხვარი არ იყოს რეალური და სრულყოფილი ტიპი. მასში თავმოყრილია სოციალისტური

„მთვარის მოზაცების“ გმირების ბრძოლა არ არის კლასობრივი ბრძოლა

კ. მელაძის სიტყვიდან

მთელმა რიგმა ამხანაგებმა — ტ. ტაბიძემ, აკ. გაწერელიამ და სხვებმა აქ ყოველად უმართებულო აზრი გამოსთქვეს, როცა განაცხადეს, თითქოს მე-19 საუკუნეში ჩვენ მხატვრული პროზა არ გვქონდა, თითქოს კ. გამსახურდია გამოდის საბა სულხან ორბელიანიდან და მხოლოდ ის აგრძელებს ქართული მხატვრული პროზის ტრადიციებს. ეს არის ქართული პროზის ისეთი კორიფეების მიჩქმალვა, როგორიც არიან ილია ჭავჭავაძე, ვაჟა ფშაველა, ალ. ყაზბეგი, დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი და სხვ. ამის უფლებას მათ არავინ არ მისცემს.

შემცდარია აგრეთვე ამხ. ქ. რაჭველიშვილის მოსაზრება, თითქოს თარაშ ემხვარი ქართველი ინტელიგენციის სახეს წარმოადგენდეს. განა შეიძლება ემხვართან გავათანაბროთ ჩვენი ინტელიგენციის ის ძირითადი მასა, რომელიც იბრძვის კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ. ვერ გავიზიარებ ამხ. ს. კლდიაშვილის და სხვა ამხანაგების ვერც იმ აზრს, თითქოს ემხვარის იდეებისაგან დღეს სავსებით თავისუფალი იყოს კ. გამსახურდია, თითქოს ემხვარის დაღუპვით რომანის ავტორმა მოიშორა თავისი წარსული მსოფლმხედველობა. ის ბრძოლა, რომელიც წარმოებს ემხვარსა და არზაყან ზვამბაიას შორის, არ არის კლასობრივი ბრძოლა. ეს არის მხოლოდ ის წაცაცუნება არზაყანისაგან თარაშისადმი, რომელიც დედის ძუძუსთან დაიწყო, ამ ძუძუდან გამოდის ფილოსოფია, მთელი კავშირი და წინააღმდეგობა ამ ორ გმირს შორის. თუ ავტორს უნდოდა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის მოცემა, რად დასჭირდა მაინცდამაინც ამ მიზნისათვის მოქმედების სვანეთსა და აფხაზეთში გადატანა. განა დანარჩენი კუთხეები უფრო უხვ და მდიდარ მასალას არ იძლეოდენ კლასობრივი ბრძოლის მხატვრულ სახეებში გადმოცემისათვის? ავტორი ვერ გვაძლევს იმ წინააღმდეგობას, რომელსაც უნდა შეხვედროდა თარაში და მისი იდეები ჩვენს ქვეყანაში. ცდება ავტორი, თუ ფიქრობს, რომ რაკი თარაში დაახრჩო, ამით მან მოსპო მისი იდეები. საქმე ის კი არ არის ფიზიკურად გაანადგურო მტერი, არამედ ის, რომ გაანადგურო მისი იდეები. რომანში არა სჩანს სოფლად მომუშავე ადამიანი, რომელიც ქმნის ახალ ცხოვრებას. ჩალმაზი და არლანი მეტად მკრთალი არიან, ხოლო არზაყანის ახალ ადამიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. განა ახალგაზრდა კომუნისტი ასე წამოიჩოქებს თავადის ქალის წინაშე და მარჩიელის ტანსაცმელში გადაცმული გამოცხადდება ქალთან, რომელიც მისგან ასე დაშორებულია თავისი ინტერესებით და მისწრაფებებით. არზაყანი კომკავშირის მხლოდ მანდატს ატარებს და არა იდეებს. კ. გამსახურდიამ ვერ მოგვცა ახალი ადამიანის ტიპები. ამის მიზეზი ის არის, რომ მას აკლია ჩვენი ეპოქის ღრმა ცოდნა.

ძველი ქართული ორნამენტული პროზის და ევროპიული რომანის სინთეზი

ს. ჩიქოვანის სიტყვიდან

ბუნებრივია, თუ „მთვარის მოტაცების“ განხილვის დროს წამოიჭრა ქართული მხატვრული პროზის საკითხი. ისტორიულ წარსულში ქართული პროზა მეტ წილად მხატვრული ქრონიკებით იფარგლებოდა.

თანამედროვე ბელეტრისტიკის დამწყები საქართველოში არის ილია ჭავჭავაძე. თანამედროვე პროზაში მთავარია საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი ადამიანის მოცემა, ისეთი მხატვრული სახის მოცემა, რომელიც ავსებს ცხოვრებას და აძლევს მას იდეალებს. ისტორიულ წარსულში ეს თვისება, რომელიც დამახასიათებელი იყო ევროპის ლიტერატურისათვის, არ ქონდა მხატვრულ პროზას. წარსულში მეტწილად ჩვენი ისტორიული ძეგლების პროზა იყო პოეტური, ორნამენტალური. მე-19 საუკუნეში მან ეს თვისება ნაწილობრივ დაჰკარგა. მაგრამ შეიძინა ის, რაც მთავარია დღევანდელი პროზისათვის, — მისწრაფება საზოგადოებრივი ადამიანის გამოსახვისა. ამის დამწყები არის სწორედ ილია ჭავჭავაძე, რომლის „ოთარაანთ ქვრივი“ წარმოადგენს მწერლის ბიოგრაფიის ნაწილობრივ ტიპიზაციას. არჩილში ჩვენ ვხედავთ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის ნაწილს და მის ზოგიერთ იდეებს. არჩილი მომხრეა წოდებათა შორის ხიდის გადებისა (ილია ჭავჭავაძის მიზანიც ხომ ეს იყო). მაგრამ მისი ბიოგრაფია, მისი სოციალური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა. იგივე შეიძლება გავიმეოროთ თარაშ ემხვარზე, რომელიც წარმოადგენს მისი ავტორის ნაწილს.

კ. გამსახურდიას რომანი მით არის აღსანიშნავი, რომ მასში ერთი მხრივ აღდგენილია ძველი ქართული პროზის ტრადიცია, ორნამენტული წერის ტრადიცია და მეორე მხრივ მოცემულია საზოგადოებრივი ადამიანი, რომელშიდაც შედის ნაწილობრივ თვით მწერლის ბიოგრაფია.

კ. გამსახურდიამ შესძლო მხატვრული წერის ძველი მანერის, ძველი არსენალის შეგუება ახალ თანამედროვე მასალასთან.

რამდენიმე სიტყვა რომანის მთავარ გმირებზე. არც კაც და არც არზაყან ზვამბაია არ არის რევოლუციური კლასის წარმომადგენელი. ისინი მხოლოდ ფორმაციის პროცესში იმყოფებიან. ავტორს დასმული აქვს საკითხი, გაუძლებს თუ არა ეს ორი გმირი დიდ საზოგადოებრივ ტალღას, რომელიც კოლექტივიზაციის სახით მოედვა სოფელს. ალეგორიულად ეს მოცემულია ადიდებული ენგურის სახით. მამაშვილის აბობოქრებულ მდინარეში შეცურვა და გალმა გასვლა, მე მესმის ისე, რომ კაც და არზაყან ზვამბაიამ გაუძლეს ახალ ცხოვრების შეშოტევას და ჩაებენ მის ფერხულში. ემხვარის დაღუპვა ენგურის ტალღებში ამის მაჩვენებელია, რომ იგი ვერ გაუმკლავდა ახალი ცხოვრების ტალღას.

ემხვარი ავტორს დიდი სიყვარულით აქვს დახატული, მაგრამ თანაბარ სიცხოველით როდი აქვს მოცემული. ის გარემოება, რომ ავტორს თავისი გმირისთვის დაუვალებია აუხსნას მკითხველს ისტორიულ-ეტნოგრაფიული ფაქტები და დააკისროს მას საზოგადოებრივი ამბების ამხსნელის როლი, უკარგავს ემხვარს ცოცხალი ადამიანის თვისებებს. და ხდის მას სქემად. ამიტომ ჭგონია ხშირად ხალხს ემხვარი თვით ავტორი. მესამე წიგნში ემხვარი აღარ კისრულობს ამ როლს და იგი უფრო ცოცხლდება. აქ განიცდის იგი ნამდვილ ადამიანურ გრძნობებს, სიყვარულს, წუხილს, სიხარულს. მისი დამარცხება სვანეთში და მით გამოწვეული დრამატიზმი ნამდვილი ადამიანურია.

არზაყან ზვამბაია პირველ ორ ნაწილში კარგად არის დახატული. მას აქვს ბევრი დეფექტები. მაგრამ იგი მაინც ატარებს კომკავშირელის თვისებებს, ხოლო მესამე ნაწილში არზაყანი ბევრ ისეთ საქციელს სჩადის, რომელიც არ ეპატიება კომკავშირელს.

ამ რომანში კ. გამსახურდიამ გამოამჟღავნა ერთი თვისება, რომელიც მის წინა ნაწარმოებებში არ სჩანდა. ეს არის იუმორი, ტიპების გროტესკული მოხაზვა. ამ ხერხით მას გამოკვეთილი აქვს გვანჯა აფაქიძე, ბაბუა ტარიელი და სხვები..

როჟანში მთავარი გმირები ზედმეტმა მასალამ მიჩქმალა

მ. ჯავახიშვილის სიტყვიდან

როცა მხატვრული პროზის საკითხი ირჩეოდა, ტიც. ტაბიძემ ყველაფერი ის, რაც არა გალექსით ჩვენში დაწერილა, მხატვრული პროზის ნიმუშად ჩასთვალა. მის კვალს რომ გავყვეთ, ყველა საგაზეთო წერილი ხატვრულ პროზაში უნდა შევიტანოთ. ნამდვილათ მხატვრული პროზა იწყება იქ, სადაც იწყება რაიმე ფაქტიური ამბავის მხატვრული გარდაქმნა ანუ მოგონილი ამბავის შეთხზა. ევროპიული ბელეტრისტიკის დამწყები ილია ჭავჭავაძე გახლავთ და სხვა არავინ. საბა სულხან ორბელიანის პროზას დღეს ვერ გავყვებით. ივან არაკების ჟანრი მოკვდა და მის გამოცოცხლებას არავინ აპირებს. აქ უკვე იყო აღნიშნული, რომ რომანი ფაქტიურად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გაჩნდა. რატომ იყო ძნელი ყველაზე მეტად რომანის დაწერა? რომანში ყველაზე უფრო მეტად ძნელი არის მისი კომპოზიცია და აგრეთვე ტიპების ასახვა, რომელიც სავალდებულო მაინცდამაინც არ არის ნოველაში. კომპოზიციის შედგენა გულისხმობს წინასწარ ზოგადი ჩონჩხის მოხაზვას. რომანი ვერ დაიწერება თუ ავტორმა არ იცის ვის ასახავს, რა ურთიერთობაში ჩააყენებს გმირებს.

კ. გამსახურდიას რომანში სამოცდათექვსმეტი დამოუკიდებელი თავია. ეს ძალიან ძნელი და სახიფათო საქმეა. ამით შეიძლება ფაბულა შესუსტდეს. ფაბულა მოტორის როლს ასრულებს. დამოუკიდებელი თავები ბორკავს სიუჟეტის განვითარებას. ზოგჯერ ამგვარად დაწერილ რომანს სირბილი შეუძლია, მაგრამ გაფრენა კი მეტის მეტად გაუძნელდება. ეს ის გაფრენაა, რომელსაც მოტორი ამოძრავებს. გამსახურდიას რომანს მეტად შენელებული ფაბულა აქვს. კომპოზიცია მეტის მეტად დარღვეულია. ზოგი რამ ძალიან შემოკლებულია. ზოგან ზედმეტი მასალა სჭარბობს. რომელიც რომანს არაფერს მატებს. ზოგიერთებმა ილაპარაკეს, გამსახურდიამ უამრავი ადგილი დაგვატარა და გვაჩვენაო. ეს მე პირადად ნაკლად მიმაჩნია.

რამდენიმე ტიპი კარგად არის ასახული. უმთავრესი ტიპი ამ ზედმეტმა მასალამ მიჩქმალა, მკითხველი იძულებული ხდება ეს ზედმეტი მასალა მოიცილოს, რომ ეს ტიპი უფრო მკაფიოდ დაინახოს.

ზოგიერთებმა სთქვეს, თარაში ავტორის საყვარელი ტიპიაო, ცდილობს თარაშ ემხვარი შეგვაყვაროსო. ჩემზე თარაშ ემხვარი სრულიად საპირდაპირო შთაბეჭდილებას ახდენს. ის ორეულია ამავე ავტორის ნაწარმოების გმირის სავარსამძიძისა, რომელსაც თან დააქვს უბედურება.

ორი ტიპი აფაქიძე და ჯოკუა უფრო ცოცხალია, ვიდრე თარაში. თამარი, შერვაშიძე, არზაყანი და სხვა. რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ მათ არ ამძიმებს ზედმეტი მასალა. ზედმეტის მასალისგან რომ განიტვირთოს მთავარი გმირებიც, ისინიც უფრო ცოცხლად გამოჩნდებიან. კ. გამსახურდიამაც და მეც ჩემს რომანში „არსენა მარაბდელში“ წავაგეთ, რომ მრავალი ზედმეტი მიმქმედნი პირი გამოვიყვანეთ, ეს ამძიმებს და ართულებს ნაწარმოების გაგებას.

როცა „მთვარის მოტაცების“ ნამდვილ გმირებს გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ კ. გამსახურდია ფრესკების მაგვარი სახეების მხატვარია. ის ფაქტი, რომ ავტორს წინასწარ მოფიქრებული არ ყავდა გმირები და გაზომილი არა ჰქონდა მათი მოქმედება, თავს იჩენს მესამე წიგნში, სადაც ამბის გასანვითარებლად ავტორს ახალი გმირების გამოყვანა სჭირდება. ამას ყველაზე მეტად მაძის მკვლელობის ფაქტი ამტკიცებს. ავტორს მამის მკვლელობა არც თავიდან და არც მეორე წიგნის დასასრულს განზრახული არ ქონდა. თორემ ის ამაზე ძალიან დიდ ამბავი დაატრიალებდა. კონფლიქტს მამა-შვილს შორის თავიდანვე წამოიყვანდა და ბოლოს სიკვდილით დაამთავრებდა. ახლა კი ეს ასე არ არის, ამიტომ მამის მკვლელობა დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს.

კ. გამსახურდია პეიზაჟის დიდი ოსტატია, მაგრამ ალაგალაგ პეიზაჟი მოქმედებასთან არ არის დაკავშირებული, თავის თავადია. ზოგჯერ პეიზაჟი გეოგრაფიაში გადადის. ზოგიერთი ადგილის აღწერილობა ვნებს სიუჟეტის განვითარებას. იგივე შეიძლება ითქვას ისტორიულ მასალის გამოყენებაზე. წიგნი უხვად არის დატვირთული ისტორიული მასალით, წიგნების ცოდნით, დაკვირვებითაც, მაგრამ ავტორი მფლანგველია, მას არაფერი არ შურს, თითქოს უკანასკნელ რომანს სწერდეს, თითქოს ეს მასალა სხვა დროს, უფრო შესაფერ ადგილას არ გამოადგებოდეს.

რამოდენიმე სიტყვა კ. გამსახურდიას სინტაქსისზე.

კ. გამსახურდიას აქვს ბიბლიურ მტიანინებური სტილი, რაც აძნელებს 750 გვერდიან რომანის კითხვას. სიყვარულის სურათიც კი ბიბლიურად არის მოხატული. რომანი დატვირთულია აგრეთვე ორნამენტებით. სახეები ზოგ ადგილას ... ქაულია. მკითხველს აუცილებლად დასჭირდება ლექსიკონის მოხმარება ზოგიერთ შედარებათა გასაგებად. კ. გამსახურდიას მოაქვს მიეიწყებული სიტყვები, რომლის გაცოცხლება მისაღებია, მეორე მხრივ მას ახასიათებს გაბედული ნეოლოგიზმები. როდესაც საგნის გამოსახატავად არსებობს ერთი ან ორი სიტყვა, ზედმეტია მესამე სიტყვის სესხება გერმანულიდან ან ფრანგულიდან ამავე ცნების გამოსახატავად.

შემდეგ ორატორი არჩევს კ. გამსახურდიას სინტაქსიურ ფორმებს, გამოთქმებს და ცალკე სიტყვებს.

ამ რომანის გამოსვლა ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი არის. ქართველი მკითხველი ... ...

დისკუსია „მთვარის მოტაცება“-ზე

ამხ. ბესო ჟღენტის მოხსენება

კ. გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“ ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის საკმარისად რთულ და მრავალმხრივად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს.

ამ რომანის შეფასების დროს მთავარია ორი საკითხის გამორკვევა:

პირველი—თუ რამდენად შესძლო კ. გამსახურდიამ თავის ვრცელ და უსათუოდ მრავალი ღირსების შემცველ ნაწარმოებში იმ გიგანტური პროცესების გამოხატვა, რომლებიც დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, რამდენად შესძლო მან მოეცა ჩვენი სინამდვილის დამახასიათებელი მხარეები, ამ სინამდვილის ტიპიური ადამიანები, რამდენად შესძლო ყოველივე ამის გამოსახვა იმგვარად, რომ მკითხველი მასების საბრძოლო ენერგია უფრო მეტად დაეარაღა იმ დიდ ამოცანების გარშემო, რომლებიც სოციალიზმის მშენებელი მასების წინაშე დგანან.

მეორე — თუ რამდენად წარმოადგენს ეს ნაწარმოები, ავტორის პირადი შემოქმედებითი ბიოგრაფიის თვალსაზრისით, რამე წინსვლას, ავტორის იდეურ-შემოქმედებითი ზრდის და სოციალიზმის აქტუალურ ამოცანებთან ავტორის დაახლოვების მაჩვენებელს.

კ. გამსახურდია მთელი რიგი წლების მახლილზე გამოხატავდა არა ჩვენი რევოლუციური სინამდვილის ზრდის ტენდენციას, არა ამ სინამდვილის დადებით ადამიანებს. პირიქით იგი წარმოადგენდა ქართულ მწერლობაში იველაზე რეაქციული კლასების ნარჩენების სულიერი განწყობილების მკაფიო გამომხატველს.

წარსულში მისთვის, როგორც მწერლისთვის დამახასიათებელი იყო არისტოკრატიული სტილი, მეტად დაკუმშული მძაფრი ფერები, უაღრესი ინდივიდუალიზმი, მებრძოლი ნაციონალიზმი, სინამდვილის მისტიური ხედვა...

უკანასკნელ წლებში კ. გამსახურდიამ სცადა ემუშავა უფრო ნეიტრალურ თემებზე, დასწერა „გოეტეს ცხოვრების რომანი“, საკმაოდ დიდი ენერგია მოანდომა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკური ნიმუშების თარგმნას ქართულ ენაზე და ამასთან სცადა ემუშავნა რევოლუციური სინამდვილის თემატიკაზეც („უკრაინის თემიდი“), მაგრამ ამ ნაწარმოებებით კ. გამსახურდიას იდეური გადაიარაღების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძვრა არ მომხდარა.

მხოლოდ უკანასკნელი რომანი — „მთვარის მოტაცება“ არის მაჩვენებელი ავტორში მომხდარი გარდატეხისა, მისი დაძვრისა საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებისაკენ.

საბჭოთა პოზიციებთან მიახლოების ცდა კ. გამსახურდიამ მოახერხა მეტად აქტუალურ მასალაზე. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ კ. გამსახურდია იყო ერთერთი ავტორი ე. წ. დისტანციის თეორიისა. მთელ რიგ წლების მანძილზე იგი ინაგვამოდებით იცავდა იმ აზრს, თითქოს ჩვენს მწერლობას არ შეუძლია გამოხატოს ჩვენი დღევანდელი ინამდვილე, ჩვენი თანამედროობა, ითქოს საჭიროა ერთგვარი დისტანცია, რომ მხატვარმა შორიდან შეხედოს მას და ითვისოს იგი. ამით კ. გამსახურდია, ზოგიერთ სხვა მწერალთან ერთად, რადიკალურად პირდაპირდებოდა საბჭოთა მწერლობის პოზიციას და ცდილობდა თეორიულად დაესაბუთებია თავის და მთელი რიგი მწერლების პრინციპული ბრძოლა თანამედროვე მასალაზე უარის თქმისა. ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა ყოველთვის ებრძოდა ამ თვალსაზრისს და პირველმა კ. გამსახურდიამ დაამტკიცა თავისი უკანასკნელი რომანით ამ თეორიის მთელი უსუსურობა. კ. გამსახურდიამ თავის ნაწარმოების ფონად აიღო ძმაფრი კლასობრივი ბრძოლის ერიოდი ჩვენს ქვეყანაში, ის პერიოდი, როცა საქართველოს მშრომელმა გლეხობამ გადამწყვეტი იერში მიიტანა უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის—კულაკების წინააღმდეგ. როცა ჩვენი სოფლები გადაჭრით დადგა მეორნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზაზე. კ. გამსახურდია გაბედულად შევიდა ამ საკმაოდ დაძაბული სოციალური ტრანსფორმაციის და სცადა მოეცა როგორც ძველი ქვეყნის ნგრევის, ისე ახალი ფეოდალური მშენებლობის სურათები.

კ. გამსახურდია სცდილობს წარმოგვისახოს ახალი ადამიანები, რომლებსაც იერიში მიაქვთ ძველი ქვეყნის, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ. ავტორს ამავე რომანში მოცემული აქვს ძველი ქვეყნის მომაკვდავი სამყარო — მთავარი ბერის თ. ემხვარის, ბაბუა ტარიელის, ლუკაია ლაბახუას, გვანჯი აფაქიძის და მთელი რიგი სხვა პერსონაჟების სახით, ამ განწირულ ადამიანთა უკვე დანგრეული ბუნები.

მწერალმა ხ�ადა ერთმანეთისათვის დაპირისპირება ორი სამყაროს. ეს ძლევამოსილი სოციალისტური სინამდვილე და ძველი მომაკვდავი ქვეყნის უკანასკნელი ნარჩენები. და ეს ხაზი მან გაატარა თავის ნაწარმოებში. მაგრამ ავტორმა ისებით ვერ დაიცვა პროპორცია ეპოსსა და ახალის მოკიმში. ჩვენი სოციალისტური პრაქტიკა რომანში

[1] ეფენტის მოხსენება ვრცლად იბეჭდება „მნათობის“ მორიგ ნომერში.

საველეთის ცივილიზაციისა და ფეოდალურ წარსულის შუა გამოკიდულია, მოწყვეტილია სოციალურ გარემოს, ვერ პოულობს ჩვენს სინამდვილეში პრაქტიკულ დანიშნულებას, რადგან ის ბაზა, რომელსაც იგი ემყარება, ინგრევა და საბოლოოდ ნადგურდება.

აი ეს ტიპი წარმოადგენს ნაწარმოების მთავარ ფიგურას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა ემხვარის დახატვას დიდი ენერგია მოანდომა, მისი სახით მაინც ვერ მოგვცა ცოცხალი, რეალური ადამიანი. ემხვარი რეზონიორია, ის უფრო ცოცხალი ენციკლოპედიაა, ათასგვარ ისტორიულ, გეოგრაფიულ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ ცოდნათა სამყაროდან ამოღებულ იდეების მეტყველი სქემაა, ვიდრე ცოცხალი და მომქმედი ადამიანი. თარაშ ემხვარისადმი ავტორის დამოკიდებულება არ არის უარყოფითი. პირიქით, მას სიმპატიით ეკიდება. სწორედ აქ არის, აქ იწყება ჩვენი დიდი დავა ავტორთან. ემხვარის პირით ავტორმა წიგნში გამოიტანა ბევრი მეტად ბავნე და მეტად მტრული იდეები და აზრები. ცხადია, ჩვენ ვერ მოვთხოვთ ავტორს ემხვარი ალაპარაკოს კომუნისტური ენით, მაგრამ ჩვენ ვთხოვდით მას, რომ გაძლიერდა თარაშ ემხვარის და თარაშ ემხვარის ჩვენთვის მიუღებელ უცხო და მტრულ შეხედულებებს.

კ. გამსახურდიამ თავის უარყოფითი გმირისადმი ვერ გამოიჩინა ის ირონია, რომელიც ავტორს თავის ტიპზე მაღლა აყენებს.

საერთოდ ძველი და ახალი სამყაროს დაპირდაპირების პროცესში ავტორმა ვერ გამოამჟღავნა ერთი მხრივ ძველი სამყაროსაგან მკაცრი გამიჯვნა და მეორე მხრივ ის მგზნებარე კავშირი ახალ სამყაროსთან, რომელიც მის რომანს დგააქცევდა ჩვენი მეღელვარე ცხოვრების გამომსახველ ნამდვილ ეპოპეად. ამის მიზეზია ის, რომ ავტორი ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ გადაიარაღებულა.

დასასრულ, მომხსენებელი ვრცლად ჩერდება „მთვარის მოტაცები“-ს ფორმალურ - მხატვრულ მხარეებზე და ამბობს, რომ ამ მხრივ კ. გამსახურდიას ნაწარმოები მაღალ დონეზე დგასო. რომანში ჩვენ გვაქვს მაღალმხატვრული, მახვილად შესრულებული აღწერილობა. ავტორი ხატავს ცალკე სცენებს, ცალკე ეპიზოდებს, სიტუაციებს, ისეთი დიდი სიძლიერით, რომელიც შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ დიდი მხატვრული ენერგიის და პოტენციის მწერალს.

თარაშ ემხვარი — ჩვენი დროის დონ-კიხოტი

ლეო ქიაჩელის სიტყვიდან

„მთვარის მოტაცება“ მე მიმაჩნია დიდ ლიტერატურულ მოვლენად. იგი მეტად თავისებური, ორიგინალური ნაწარმოებია, რომელიც მრავალ საყურადღებო პრობლემას აყენებს. „მთვარის მოტაცება“ ორიგინალურია ფორმით, სიუჟეტის გახსნით, სტილით. რომანში მთლიანად გამოაშკარავებულია ავტორის მსოფლმხედველობა, მოცემული ავტორის მთელი ფიგურა, მისი უტყუარი ნიშნებით. ნაწარმოების მთავარი ღერძი არის თარაშ ემხვარი და მისი სიყვარულის ამბავი, ყველა ეპიზოდი დახვეულია სწორედ ამ მთავარ ღერძზე. რომანში ყველაფერი იქითკენ არის მიმართული, რომ გამომჟღავნებული, გახსნილი იქნას თარაშ ემხვარის სახე. ჩემის აზრით თარაშ ემხვარი ძალზე ტრაგიკული პიროვნებაა. თარაშ ემხვარის ტრაგედია არსებითად უდრის დონ-კიხოტის ტრაგედიას. როგორც დონ-კიხოტს სასაცილოდ ხდიდა ის გარემო, რომელშიაც მოქმედობდა, ისე ემხვარსაც სასაცილოდ ხდის გარემოცვა, სადაც იგი სცხოვრობს, მაგრამ მასთან არაითარი დამოკიდებულება არა აქვს. ემხვარი თანამედროვეობაში ეყურება შორეული საუკუნეებიდან, ოცნებობს იმაზე, რაც ახალმა დროებამ სამუდამოდ გაანადგურა. ეს მოცნებე, ძველი ქართული რაინდობის მოტრფიალე

ძალიერ ექსპრესიით დახატულ სცენებს წარმოადგენენ კაც ზვამბაიას მიერ თავის პირუტყვის განადგურების სცენა, გვანჯ აფაქიძის და ჯოტო გვასალიას ჩასაფრება არზაყანის წინააღმდეგ, კულაკ ტარბების თავდასხმა არზაყანის სახლზე, პოეტური ექსპრესიითაა აღწერილი ემხვარის გაპარტახებული კარმიდამო, ქორმახვშის ოჯახი და სხვა. ყველა ამ სცენის, ეპიზოდის, სურათების გადმოცემაში კ. გამსახურდია იჩენს დრამატიული სიტუაციების შექმნის უნარს.

მთლიანად მთელი რომანი მოწმობს იმას, რომ ავტორი გულმოდგინედ მუშაობს სიტყვაზე, რომ მას აქვს დიდი ენობრივი კულტურა, რომ იგი არის ფანტაზიის, თავისებური სტილის მფლობელი, ფრაზის გამოკვეთის ოსტატი.

სავსებით თავისებური და ორიგინალურია „მთვარის მოტაცების“ აღნაგობა, კომპოზიცია. კ. გამსახურდია სწერს არა ერთნაირი ფორმით, — ჩრმალი შეიცავს ცალკე დამთავრებულ ქვესიუჟეტებს, რომელიც გაერთიანებული არარიან ერთი მკვეთრი ფაბულური მიმდინარეობით, ავტორი რომანს აშენებს ჰერიფერიული კომპოზიციის მიხედვით, სადაც ცალკე თავები დიდებულ ფრაგმენტებს წარმოადგენენ და მჭიდროდ, უშუალოდ დაკავშირებული არ არიან რომანის მაგისტრალურ ღერძთან. ცხადია, ეს ხელს უშლის მკითხველს, ერთად განიცადოს და თან მიჰყვეს რომანის განვითარებას.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ კ. გამსახურდია მიჩად მახვილად გრძნობს ქართულ ენას, მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ პოზიციას, რომელიც მას სალიტერატურო ენის საკითხში უჭირავს. კ. გამსახურდიას ჩვენს მწერლობაში შემოაქვს ხშირად არქაული სიტყვები და, რაც მთავარია, არქაულ - სინტაქსური ფორმები. ის ამტკიცებს, თითქოს ქართული ლიტერატურული ენა მე-19 საუკუნეში დამდაბლდა და ჩვენმა მწერლობამ ხიდი უნდა გასდოს ქართული ენის იმ მაგისტრალურ ხაზთან, რომელიც საბა სულხან ორბელიანით დამთავრდა. ეს თვალსაზრისი მცდარია. იმ დიდმა რეფორმამ, რომელიც ილიამ და აკაკიმ მოახდინეს, ქართული ლიტერატურული ენა დაუახლოვა ხალხს თანამედროვე მეტყველებას. ეს იყო ქართული ენის და ლიტერატურის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც ჩვენ არა თუ უარვყოთ, არამედ უნდა გავაღრმავოთ.

ვერ ვხედავ გმირებს მოქმედებაში

ალ. ჯეიშვილის სიტყვიდან

„მთვარის მოტაცება“ წარმოადგენს უთუოდ ძალიან საინტერესო ნაწარმოებს, როგორც თავისი აღნაგობით, ისე ტიპებით და თავისებური სტილით. ავტორი იმთავითვე არ ცდილობს სიუჟეტის მარყუჟი მოაბას თავის გმირებს და წაიყვანოს ისინი მარტივი გზით. სიუჟეტი იშლება უწყვეტ ემოციურ ფონზე, სადაც ხედავთ არა მარტო გმირების დაჯახებას, არამედ ავტორის მეტად გულისხმიერ დამოკიდებულებასაც თავის გმირებისადმი. ქართული მხატვრული პროზის განვითარების თვალსაზრისით, ამ ნაწარმოებს აქვს მრავალი ისეთი რამ, რაც ბევრ ჩვენ მწერალს აკლია, მაგრამ არ მოგმობა ის ძირითადი და მთავარი, რომელსაც მოითხოვს სოციალისტური რეალიზმის მწერლობა. როგორც ბევრ სხვა ნაწარმოებში, ამ რომანშიც ერთმანეთს უპირდაპირდება ორი სამყარო — ძველი და ახალი, მაგრამ ეს დაპირდაპირება რეფლექსიის, მსჯელობის ხასიათს ატარებს. მთავარი მომქმედი პირები კონცეტრირებული არიან სიყვარულის გარშემო. აქ არის მათი პირადი შეჯახებანი და ვერ ხედავთ მათ საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე. რომანში არა სჩანს მძაფრი პოლიტიკური, კლასობრივი ბრძოლა. თვით ემხვარს წინ არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდება საზოგადოებრივ ასპარეზზე. არც ის ებრძვის ვისმე და არც ვინმე ებრძვის მას. ზვამბაიას და ემხვარის ურთიერთობა — ეს არის ბრძოლა სიყვარულის გარშემო და ისიც თითქმის ერთი განუყოფელი ოჯახის ფარგლებში.

[illegible] — [illegible] მომადგენელი ექიმი ხერიპს შარვაშიძე ავტორს წარმოსახული ჰყავს პასიური ფიგურად. მისი ნეიტრალური პოზიცია საშუალებას აძლევს ერთი მეორის წინააღმდეგ დაპირდაპირებულ გმირებს იმსჯელონ იქადაგონ თავიანთი აზრები, მაგრამ არ იმოქმედონ. ერთი სიტყვით, გმირები ერთმანეთთან დაპირდაპირებული არ არიან მოქმედებაში. ავტორი თავის მთავარ გმირს ემხვარს, მრავალი წინააღმდეგობის მატარებელს, მეტად ახირებულ ადამიანს ბევრ რეაქციულ, მტრულ შეხედულებებს ათქმევინებს ხოლმე. როცა ავტორი თავის გმირს ნებას აძლევს ამდენი შხამი დაანთხიოს ჩვენი მოვალეობაა მას მოვთხოვოთ ამავე დროს მოგვცეს ამ შხამისგან თავდაცვის საშუალებაც.

ავტორს შეეცოდა ეს კაცი, მაგრამ მაინც მოიშორა

ნ. მიწიშვილის სიტყვიდან

ამ რომანის წმკითხვიდან გამომდინარეობს, რომ „მთვარის მოტაცება“ წარმოადგენს ერთერთ იმ ნაწარმოებს, რომელსაც ქართული პროზა უეჭველად გამოჰყავს ერთგვარ პროვინციალურ არტახებიდან. იმ რამდენიმე წიგნს შორის, რომელმაც დაარღვია ეს პროვინციალიზმი, არის „მთვარის მოტაცებაც“. აღსანიშნავია ის გარემობა, რომ ასეთი ნაწარმოები დაიწერა სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს

ამ გმირს ჯვარი გადაუსვა და ეს გზაში გადაუძახა. ამით მკითხველებს აგრძნობინა და დაანახა, რომ თარაშ ემხვარის გზით სიარული თანამედროვე კაცს არ შეუძლია. შეიძლება ავტორს გული ეტკინა, შეეცოდა ეს კაცი, მაგრამ მაინც მოიშორა და ამით დაასრულა თავისი სიმპატიების, თავისი ლიტერატურულ მუშაობის ერთი პერიოდი და ამკარად დადგა მეორე მოპირდაპირე გზის თვალსაზრისზე.

რაზომ არიან ძველი ადამიანები უფრო მკვეთრად დახატულნი

ძრ. რაჭველიშვილის სიტყვიდან

ჩემის აზრით, „მთვარის მოტაცება“ არის წინსვლა კ. გამსახურდიასათვის. ამ ავტორის წინანდელ ნაწარმოებთან აკლდათ სიუჟეტურობა. ამ რომანში მან ეს ნაკლი დასძლია და მოგვცა სიუჟეტიანი რომანი, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება. მაგრამ მთავარი ღირსება ამ რომანისა ის არის, რომ შორდება იმ პროვინციალობას, რომელიც ახასიათებდა მთელ რიგ ჩვენს ნაწარმოებებს.

შემდეგ ორატორი ეხება რა რომანის პერსონაჟებს, ამბობს, რომ ავტორს ახალ ადამიანებზე უფრო მკვეთრად და რელიეფურად ჰყავს ჩამოყალიბებული ძველი ფორმაციის ხალხი. ამის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებს, რომ ძველი წყობილების წარმომადგენელი ცხოვრებაშიაც უფრო მკვეთრად არიან ჩამოყალიბებული, ხოლო ახალ ადამიანთა ფორმაცია ახლა მიმდინარეობსო. ავტორის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი არ გაჰყვა სქემატიურობის გზას, რომლის მიხედვით, ერთის მხრით მოცემულია სიბოროტე, მეორე მხრივ

ნაყოფიერი ცდა ფილოსოფიური აზროვნებისა მხატვრულ სახეებში

ტიციან ტაბიძის სიტყვიდან

„აქ ამბობდნენ, თითქოს ქართულ მხატვრულ პროზას ნაკლები ტრადიცია ჰქონდეს, ვიდრე ქართულ პოეზიას. ეს არ არის მართალი. ქართული პროზა მოდის გიორგი მერჩულიდან. „გრიგოლ ხანთელის“ ცხოვრება მხატვრული სიტყვის იშვიათი ნიმუშია. ქართული მატიანის „ქართლის ცხოვრებას“ მრავალ მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოები ვერ გაუსწორებს მხარს. იქ ჩვენი ქვეყნის სამხედრო თავგადასავალი ისე მხატვრულად არის აღწერილი, რომ ასეთ აღწერას ვერ შეხვდებით ბევრ დიდ მხატვრულ ნაწარმოებში. სულხან საბა ორბელიანის დახვეწილი სტილი დღეს საყოველთაოდ ცნობილია. ქართული მხატვრული პროზის შედეგია აგრეთვე მე-18 საუკუნის ძეგლი „კალმასობა“, რომელიც თამმადაც შეიძლება შეავდაროთ რაბლეს უკვდავ ნაწარმოებს. მე-19 საუკუნეში ქართული პროზა აცდა ამ ბრწყინვალე ტრადიციას. მართალია, გასულ საუკუნეში ჩვენმა მწერლობამ შექმნა მდიდარი, სოციალურად გამახვილებული ლიტერატურა, თავის დროზე მას ჰქონდა დიდი გასავალი, მაგრამ დღეს წარმოუდგენელია

ლია მხატვრული ნაწარმოები იწერებოდეს ისე, როგორც სწერდნენ ჩინებული მოქართულე მწერლები ნ. ლომაური და სოფრომ მგალობლიშვილი. მას შემდეგ ჩვენი მხატვრული პროზა ძალიან წინ წავიდა, მაგრამ ცხოვრება კიდევ უფრო წინ წავიდა და დიდ მანძილზე ჩამოიტოვა იგი. ქართული მხატვრული პროზისა და ცხოვრების განვითარებაში დიდი დისპროპორცია წარმოიშვა.

რევოლუციამდე ჩვენში დიდი დავა და კამათი იყო იმის გარშემო, შეიძლება თუ არა დაიწეროს ქართული რომანი, დღეს ეს დავა გადაწყვეტილია. ჩვენ უკვე გვაქვს არა ერთი! და ორი ქართული რომანი. ეს არის ჩვენი ცხოვრების განვითარების, ჩვენი წინსვლის შედეგი. მაგრამ ის, რაც აქამდე იყო, დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩვენ გვაქვს მრავალი სამეცნიერო დაწესებულება, უნივერსიტეტი, გვყვანან პროფესორები, ინჟენერები, რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს ქვეყანას გამოკვლევებით, მრავალმხრივი ნამუშევრებით, მაგრამ ამ ხალხს, რომელიც შინაარსს აძლევს და ამრავალფეროვანებს ჩვენს ცხოვრებას, ვერ ნახავთ ჩვენს მხატვრულ ლიტერატუ-

კომკავშირელ არზაყანისთვის ავტორს არ მიუცია სამოქმედო სარბიელი

კ. ბოგბოხიძის სიტყვიდან

კ. გამსახურდიას რომანის ღირსება ის არის, რომ იგი ყოველ ჩვენგანს უხვ მასალას აძლევს საკამათოდ. რომანში მრავალია ისეთი ადგილი, რომელიც მკითხველს ერთი წაკითხვით ამახსოვრდება. უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება მის გადათარგმნას, რადგან ამ რომანით უცხოელი მკითხველი გაეცნობა ჩვენს ძველ კულტურას. რასაკვირველია, ეს ღირსება არ გამორიცხავს იმ უარყოფით მხარეებს, რომლებიც რომანს აქვს. რომანი ატარებს ფრაგმენტალურ ხასიათს. ალაგალაგ იგი გაჭიანურებულია, — არქაიზმები იმდენად ჭარბადაა ნახმარი, რომ მკითხველი იძულებული ხდება ზოგიერთი ადგილი გამოტოვოს. საერთოდ ნაწარმოების სტილი უაღრესად არისტოკრატულია. კ. გამსახურდიას მიერ ამ რომანში შემოტანილმა ზოგიერთმა ახალმა სიტყვამ უკვე მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება.

უდაოა, რომ მწერალს ამ რომანში უფრო უკეთ, ხელშესახებად ჰყავს გამოყვანილი ძველი ადამიანები, ვიდრე ახალი ტიპები. ისეთი კომკავშირელი, რომელსაც კ. გამსახურდია გვიხატავს, ჩვენ სინამდვილეში არ არსებობს. თავის გმირისათვის — არზაყან ზვამბაიასათვის ავტორს არ მიუცია ფართო სამოქმედო სარბიელი. წარმოუდგენელია, რომ კომკავშირელს, დოღში მონაწილეობის მიღების მეტი, სხვა არაფერი ინტერესებდეს. ნაწარმოებში ბევრი მიუღებელი უცხო აზრებია გამოთქმული, მაგრამ იგი მაინც ჩვენი მწერლობის დიდი გამარჯვებაა.

ქართული ისტორიზმით დაკავდებული მიჯნის კაცის ტრაგედია

დემნა შენგელაიას სიტყვიდან

სრულიად მართებულია ის ინტერესი, რომელიც კ. გამსახურდიას რომანმა გამოიწვია და ეს არა იმიტომ, რომ იგი მეტ-სმეტად ორიგინალური ნაწარმოებია. შეიძლება რომანი არ იყოს ორიგინალური, მაგრამ დიდ ინტერესს იწვევდეს. რამდენადაც საყურადღებო არ უნდა იყოს „მთვარის მოტაცება“, არ შეიძლება მაინც ისეთი მსჯელობა, როგორც ტიციან ტაბიძე მსჯელობდა. შეუწყნარებელია იმის მტკიცება, თითქოს საბა სულხან ორბელიანის შემდეგ იყოს მხოლოდ კ. გამსახურდია. ყალბია ის დებულებაც, თითქოს ქართული პროზა გიორგი მერჩულიდან იწყებოდეს და საბა სულხან ორბელიანით თავდებოდეს. განა შეიძლება ჩვენ გვერდი აუარაოთ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ალექსანდრე ყაზბეგს, დ. კლდიაშვილს და ბევრ თვალსაჩინო ქართველ მწერალს, როცა ქართულ პროზაზე ვლაპარაკობთ?

კ. გამსახურდიას რომანი იმით არის საინტერესო, რომ მასში ძალიან ბევრი სადაოა როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. იდეა, რომელიც დაავდებულია თარაშ ემხვარი, არის ქართული ისტორიზმის, ქართული ეტნოგრაფიზმის, ქართული წარმართობის იდეა. მაგრამ დღეს ეს იდეები უკვე არავის აღარ აღელვებს, ეს იდეები სოციალურად დღეს აღარ მოქმედობენ. ავტორი კი ფიქრობს, რომ ამ იდეებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი სიძლიერე. სწორედ ამიტომ ატარებს იგი თავის გმირებს საქართველოს ისტორიულ კუთხეებში, ბუზეუმებში და აწერინებს მათ ეტნოგრაფიულ მიმოხილვებს.

ჩემთვის, როგორც მწერლისათვის საინტერესოა, როგორ აქვს მოცემული ეს ტკივილები. მე არა მწამს ისეთი ნაწარმოება, რომელშიაც ავტორი თვითონ ერევა. ნაწარმოები თავისთავად უნდა ლაპარაკობდეს ამის შესახებ. კ. გამსახურდიას რომანში კი ძალიან ხშირია რემარკები. ასეთი ხასიათისაა „ამ კაცმა საშინლად გაიცინა“. ეს თავისთავად უნდა სჩანდეს და არ საჭიროებდეს ავტორის შენიშვნას.

ცდება ამბ. ლეო ქიაჩელი, როცა იგი ემხვარს დონ-კიხოტს ადარებს. ყოველი მეოცნებე დონ-კიხოტი რომია. თარაშ ემხვარი არც მეოცნებეა, პირიქით, ის დიდი სკეპტიკოსია. მასში ეს სკეპტიციზმი წარმოშვა იმ გარემოებამ, რომ იგი გამოკიდებული დარჩა ისტორიულ საქართველოს და საბჭოთა საქართველოს შუა. თარაშის ტრაგედია ეს არის მიჯნის კაცის ტრაგედია, ტრაგედია ისეთი კაცისა, რომელიც მიჯნაზე დგას და არც იქით არის და არც აქეთ. ავტორი ემხვარს უწონასწორებს არზაყან ზვამბაიას. ზვამბაიამ ვერ გადასწონა ემხვარი, რადგან იგი არ ატარებს ახალი თაობის კაცის, კომკავშირელის ძირითად თვისებებს და მასაც მძიმე ტვირთად აწევს ძველი ადათ-ჩვეულებანი, ათასგვარი რიტუალები, აზნაურული თავაზიანობა და სხვა. ამიტომ რჩება გარკვეული შეთაბეჭდილება, რომ ავტორი ორიენტაცია აღებული აქვს უფრო თარაშ ემხვარზე და მის იდეებზე.

მაქსიმ გორკის ხსოვნას

სანდრო ეული

თითქოს განგებ მთვარის დისკო
მზის და მიწის შუა ჩადგა.
მიწის სევდა ცამ გაიყო, —
მზე ლაჟვარდზე აღარ ჩანდა.

თითქოს მიწას თანაუგრძნო, —
მზე დაბნელდა ადრე დილით, —
მიწის სევდას ვერ გაუძლო
მოეფინა მის მკერდს ჩრდილით, —

ეგებ მიტომ, რომ სდუმს ის დღეს,
ვისი აზრი კვლავ ელვარებს, —
ვინც დაასწრო, ვით გრიგალმ
ამოვარდნილ ქარიშხალებს.

ოხ, სიკვდილო! არ გვაკმარე
და გორკაში ერთხელ კიდევ
გვაგლოვე და გაამწარე
ჩვენი მიწის კიდით-კიდე?

მაგრამ ცეცხლის მფრქვეველ სიტყვა
მქუხარეა მუდამ მისი, —
ვერ დააკლებს დროთა რისხვა,
ვით ნათელ მზეს ბნელი ნისლი.

აკოფ აკოფიანის საღამო

„დიდებულ წარსულზე", არაქსის
[illegible] რომანტიკა და მოძალ[illegible]
[illegible] ჰარმონიული ადამიანის—მიწის
[illegible] გამოცხადება, ნაციონალისტურ
[illegible]ული და ნაროდნიკული იდეო-
[illegible] ნარევი—აი იდეები, რომლითაც
[illegible] ავტორიტეტთა წინააღმდეგ პო-
[illegible] ერ ვგავარ თქვენ საყვარელ
[illegible]—მიმართავდა იგი „რჩეულ" ს.
[illegible] ჩემი ტრფიალი სულ სხვა
[illegible] ია, სადაც ალიონზე მუ-
[illegible]ოდეს საყვარი,— ეუბნება
[illegible]ოფოს,—იქ იშედება ჩემი ქვე-
[illegible] და მომავალო.
[illegible]ანად პოეტი ხატავს კაპიტა-
[illegible] ქალაქის, „ქალაქ-ობობას" და
[illegible]ოველის სოციალურ წინააღმდე-
[illegible]ურათებს. ტექნიკის, კომფორ-
[illegible]ების და სიღატაკის კონტრას-
[illegible] ეხმაურება ვერ ჰარნის ურბა-
[illegible] პოეზიას.
[illegible] თავისი შემოქმედების გზებზე
[illegible] ყალიბდება, როგორც სოციუ-
[illegible]ტრული პოეზიის დამწყები და
[illegible]ისტი.—მაქსიმ გორკის „გრიგალამ"
[illegible] ა ამოხლა, დამანახვა რევოლუცი-
[illegible]ებისაკენ მიმავალი გზები და
[illegible]ად ახალი ძხატვრული ხერხებიო,—
[illegible] პოეტი,
[illegible]ტრული რევოლუციის ჯამარ-
[illegible] დიდი ძალით და აღფრთოვანებით

აამღერა პოეტი. მან შექმნა ისეთი ნაწარმოებნი, როგორიცაა პოემა „შირკანალი ბოლშევიკი", „ლენინი". წელთა განმავლობაში პოეტი მუშაობს პოემა „საბჭოთა ფაუსტის" შექმნაზე.

ეს არის მოკლე შინაარსი იმ მოხსენებისა, რომელიც ამბ. ატრიანმა წაიკითხა 25 ივნისს მწერალთა კავშირის სახლში, სადაც საბჭოთა მწერლობამ და ფართო ლიტერატურულმა საზოგადოებრივობამ განსაკუთრებული ენტუზიაზმით აღნიშნა პოეტის დაბადების 70 წლის თარიღი.

მომხსენებლის შემდგომ გამოსულმა პოეტებმა და მწერლებმა—ს. ეულმა, ვ. ვაფრინდაშვილმა, ს. თავაძემ, ტ. გაჩეჩილაძემ, გ. ქუჩიშვილმა, ვ. გორგაძემ, მ. პეტროსიანმა წაიკითხეს ა. აკოფიანის და აკოფიანისადმი მიძღვნილი ლექსები. ილაპარაკეს პოეტთან შეხვედრებზე, მის დაუღალავ მუშაობაზე და ხალისზე, რომლითაც მხცოვანი პოეტი დღემდე ხვდება ჩვენი დიადი ჭაოქის მოვლენებს.

აკოფიანის ლექსები წაიკითხეს სომხურად სომხური დრამის არტისტებმა—ჯაჯურიანმა, ჰ. ასლანიანმა და „არმენკინოს" მსახიობმა დავით მალიანმა. შემდეგ გამოვიდა სომხური კულტურის სახლის მომღერალთა გუნდი ცნობილი ლოტბარის არამ ტერ-ოვანესიანის ხელმძღვანელობით. გუნდმა შესანიშნავი ოსტატობით შეასრულა როგორც სომხური, ისე ქართული სიმღერები.

აუდიტორია დიდი ხალისით და სიყვარულით ეხმაურებოდა პოეტის ლექსებს და მის მიერ განცლილ სახელოვან გზას.

სილია თოდრია, როგორც ჰუმორისტი

ა. სულავა

ძველი რევოლუციონერი, ბოლშევიკი ს. თოდრია ცნობილია ჩვენში არა მარტო თავის სახელოვანი რევოლუციური წარსულითა და საბჭოთა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით, არამედ ლიტერატურული მუშაობითაც.

მწერლობა ს. თოდრიასათვის არ იყო შემთხვევითი მოვლენა, არამედ იმ დიდი საქმის გაგრძელება, რასაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა. ეს საქმე იყო რევოლუციური მოღვაწეობა, — ძველად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი— მისი განმტკიცების სოციალისტური მშენებლობის წინსვლისა და გამარჯვებისათვის მუშაობა.

უშიშარი, პროფესიონალი რევოლუციონერი, არალეგალური ბოლშევიკური სტამბებისა და ლიტერატურის გავრცელების ერთერთი ორგანიზატორი, მტკიცე სტალინელი, ბოლშევიკური კალმით შეიარაღებული სატირიკოსი - ჰუმორისტი — ასეთია ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრების ფურცლები.

გლეხის შვილს, ახალგაზრდობიდანვე ქალაქად სამუშაოდ წასულს ს. თოდრიას სამრევლო სკოლის დამთავრების გარდა, სხვა განათლება არ მიუღია. მაგრამ როგორც ს. თოდრიას ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში ამხ. შალაქია ტოროშელიძე აღნიშნავს, „მისი სკოლა იყო მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა. აქ მან დააბრუნა მთელი კურსი, შეისწავლა ყველა გაკვეთილი, ჩაითვალა ყველა გამოცდა და დაჯილდოებული იქნა თვითმპყრობლობისა და მენშევიკების მიერ შვიდჯერ საპყრობილეში ჯდომის უფლებით".

ამ რევოლუციური ბრძოლის სკოლასთანაა დაკავშირებული ს. თოდრიას ლიტერატურული მოღვაწეობაც. მაგრამ წარსულში ეს მუშაობა უმთავრესად პოლიტიკური პროკლამაციების წერასა და პრაქტიკულ მუშაობაში გამოიხატებოდა. ფართო შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობა მას მხოლოდ საბჭოთა პირობებში მიეცა და მანაც თავისი კალამი სატირა-ჰუმორის დარგში გაამახვილა.

საკმარისია გადავათვალიეროთ საბჭოთა ჰუმორისტული ჟურნალები, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა გულმოდგინედ და სიყვარულით ეკიდებოდა ს. თოდრია თავის მწერლობას, თუ რა ნაყოფიერად და ენერგიულად მუშაობდა იგი. ამას ამტკიცებს მისი წიგნები, როგორიცაა „ძველი და ახალი აღთქმანი", და დ. ბედნის სატირული პოემის თარგმანები.

ამ მხრივ ს. თოდრია უთუოდ ქართული საბჭოთა ჰუმორისტიკის ფუძემდებელია, ბოლშევიკური სიმახვილით და საღი ჰუმორით აღსავსე.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჰუმორისტულ ლიტერატურას თუ ეს ჰუმორისტიკა. თავის იდეურ სიმაღლეზე სდგას და არაა უბრალო ოხუნჯობა. ამის მაგალითია თუნდაც დემიან ბედნის სატირის ნიმუშები. ჰუმორი ნაკლთა მხილების, სატირა-კლასობრივ მტერთა იდეური განადგურების მძლავრი საშუალებაა.

ჰუმორი თავისი სპეციფიკით მოქნილი ყანრია, ამით აიხსნება ჰუმორისტული ლიტერატურის პოპულარობა და მისდამი მასების ძლიერი ინტერესი. ვ. ლენინი თავის დროზე პირდაპირ უსაყვედურებდა საბჭოთა პრესას („ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ"). კლასიური მტრების გასანადგურებლად სატირას ნაკლებად იყენებთო.

არა ერთი და ორი ბიუროკრატი მავნებელი და მლიქვნელი წარმოჩენილია საბჭოთა ჰუმორის ჩანგალს. ამ ჩანგლის გალესვა—გამახვილება ამ დიდ მონაწილეობას იღებდა **ს. თოდრია**. იგი ჟურნალ „ტარტაროზი"-აა, შემდეგ „ნიანგი"-ს მუდმივი თანამშრომელი იყო, უფრო მეტიც! სანამ ამ ჟურნალში საბჭოთა ჰუმორისტიკა თავის ნამდვილ სახეს გამოამჟღავნებდა და თავის კადრებს შექმნიდა, ს. თოდრია ორიოდე სტატიან

ჰუმორისტთან ერთად ამაგრებდა და ზრდიდა ქართულ ჰუმორისტიკისა და სატირის ფრონტს.

ს. თოდრიას ჰუმორში ყოველთვის სჩანდა სიძულვილი ძველი ქვეყნის მავნე ჩვეულებისადმი. ასეთია მისი საყოფა-ცხოვრებო ჰუმორესკები. მენშევიკები, ყოფილი ვაჭრები, ზარმაცები, მოლაყბენი—აი მისი ჰუმორისტულ ნაწარმოებთა პერსონაჟები. იგი მტერს მტრულად ებრძვის, მოყვარეს პირში უძრახავს, მაგალითად ავიღოთ აკაკის ცნობილი ლექსის იმიტაცია:

აღმართ-აღმართ მიდიოდი მე
ნელა,
მაგრამ ასლა **გამიჭ**ირდა მეძო
რადგან იყო მეტად წვრილი
ბილიკი;
მრავალ წლების ნიაღვრებით
ნალეკი.
წინათ თურმე აქ ყოფილა შარა-
გზა.,
მემკვიდრობით მიგვიღია ის ჩვენ
მზა.
მაგრამ ახლა ის ნაგზურსაც არა
ჰგავს,
კაცი ყველა ნაბიჯს ქვაზე ფეხს
წაკრავს..

ლექსის შემდეგ მოთხრობილია ამბავი, თუ როგორ ეზარება ზოგიერთს გზის შეკეთება და უმოქმედობას იჩენს:

გამოიჩენ დაუშვებელ სისუსტეს,
თუ საქმეში ვერ შეიტან სიზუსტეს, თუ შეჩერდი, როგორც წვრილმან ხურდაზე, ვერ იქნები ძველი ვასო „ქურდაძე".

ს. თოდრია თავის ჰუმორისტული ესკიზებით კულტურის საკითხებსაც ხშირად ეხმაურებოდა. ასეთია, მაგალითად, მისი შენიშვნები „თეონულდის" დადგმაზე (რეცენზიის მაგიერ) ამ ჰუმორესკაში შესანიშნავად მხილებულია თეატრის ზედმეტი რეკლამურობა, თვით ამ სპექტაკლის ეგზოტიკურობა.

ს. თოდრიას აქვს მრავალი ლექსი საერთაშორისო თემებზე, სადაც იგი კონკრეტულად პიროვნებებისა და მოვლენების მაგალითზე ამხელს მუშათა კლასის მოღალატეებს, ფაშისტური ქვეყნის მესვეურების დესპოტიზმს და უბადრუკობას. ასეთია ლექსები „რადიო", „თანამედროვე ჰეროსტრატე," „ერთა ლიგის აღასრული" „ხელები შორს" და სხვ.

ყოფა-ცხოვრებისა და მწერალთა პრაქტიკის უარყოფითი მხარეების მხილება ხშირად პოულობდა გამოძახილს ს. თოდრიას ჰუმორში. ასე, მაგალითად: ის გამოეხმაურა ფორმალიზმისა და ნატურალიზმის დისკუსიას. სიყალბის, ესთეტიზმის, უიდეობის მტერი, იგი შემდეგნაირად დასცინის „ეროტიული ტიპის" პოეტებს:

საყვარელთან საარშიყო
ძველებურად ლექსის წერით,
საეჭვოა ახლა ვინმეს
აუტოკდეს გული ძგერით,
ვეღარავის მუატყვილებს,
დღეს მგოსანი ამ საკენკით,
სწორედ ამის შედეგია
თავი რომ აქვს მას საქექი,
მაგრამ ქექა რას უშველის,
თუ შიგ აზრი არა ყრია,—

თავიდან ძირს თმა მოსცვივა,
საკითხი კი რჩება ღია.

საყოფაცხოვრებო და პოლიტიკური თემების გარდა, ს. თოდრიას ჰუმორისტიკაში ერთერთი მთავარი **ადგილი ანტირელიგიურ** პროპაგანდას უჭირავს. ამ თემაზე მას არა თუ მარტო ლექსები, არამედ პოემაც აქვს, ასეთია მისი „ძველი და ახალი აღთქმა". ამ წიგნში იგი მამხილებელ სატირას იძლევა ბიბლიასა და ეკლესიაზე. მშრომელების რელიგიური ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლება, მღვდლებისა და მათი დამქაშების გამომჟღავნება,— აი თოდრიას ანტირელიგიური ჰუმორისტული მუშაობის მიზანი.

ს. თოდრია იმდენად დაინტერესებული იყო ამ საკითხით, რომ დემიან ბედნის ანტირელიგიურ სატირულ პოემებსაც კი თარგმნიდა. ერთ დროს ანტირელიგიურ გაზეთს „უღმერთოსაც" რედაქტორობდა. ამ დროში ს. თოდრიას სერიოზული მიღწევები ჰქონდა და მისი მუშაობა ამ ფრონტზე უაღრესად რევოლუციური ხასიათისაა.

ს. თოდრია ჩვენი საბჭოთა ჰუმორისტიკის დამწყება და თაოსანია. ახალ ქართულ საბჭოთა სატირა-ჰუმორისტიკაში ს. თოდრია საპატიო ადგილს დაიჭერს.

ლეო ქიაჩელის ახალი რომანი

წელიწადზე მეტია, რაც ლეო ქიაჩელი მუშაობს ახალ რომანზე.

სოფლად მომხდარი უდიდესი ეკონომიურ-სოციალური ძვრები—კოლექტივიზაცია, ახალი ტექნიკური კულტურების გავრცელება, გაძვალგებული კლასობრივი ბრძოლა, კომუნისტური პარტიის მუშაობა ახალ გზაზე საშუალო გლეხობის შემობრუნებისა და მისი წვრილ მესაკუთრული განწყობილებების გარდაქმნისათვის, სოციალიზმის გამარჯვებით გამოწვეული გარდატეხა გლეხობაში, ერთი სიტყვით, ბრძოლა ახალი საკოლმეურნეო წყობილებისათვის—ეს არის ლეო ქიაჩელის ახალი წაწარმოების თემა, თემა, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენს ხელშეუხლებელ თემას მთელი საბჭოთა, კერძოთ ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვის. დღეს რუსეთში იშვიათია ასე თუ ისე ცნობილი მწერალი, რომელსაც იგი არ დაეძღვნებოდეს. ქართულადაც არსებობს თანამედროვე ლიტერატურის ამ კარდინალური ოემისადმი მიძღვნილი მხატვრული ნარკვევები, მოთხრობები, სამი ოთხი პიესა, ერთი რომანი, ორი პოემა და სხვა. ამ საკითხზე საერთოდ უკვე დაგროვდა საკმაო მხატვრული პროდუქცია, მაგრამ ჩვენს კრიტიკას ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ გაუშუქებია, თუ როგორ დასძლია ქართველმა საბჭოთა მწერლობამ ჩვენი ლიტერატურის ეს ერთ-ერთი წამყვანი თემა, მაგრამ ერთი რამ მაინც გარკვეულია: სოფლად მიმდინარე კლასობრივ ბრძოლის და მის ამაღორძვებელ ძალების მხატვრულ გადმოცემაში თავი იჩინა ერთგვარმა შტამპმა, შაბლონმა, რომელიც თითქმის უკვე გადაიქცა საფრთხედ ამ თემებზე მომუშავე ბევრ მწერლისათვის.

აცდა თუ არა ამ საშიშროებას ლეო ქიაჩელი თავის ახალ ნაწარმოებში, რომლის სამი თავი ავტორმა წაიკითხა მწერალთა წრეში?

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, (და ეს არის ამ ნაწარმოების განსახილველად მოწვეული მწერლების,—კ. გაბსახურდიას, რ. გვეტაძის, მ. ჯაკელიშვილის, ს. კლდიაშვილის, ლ. მეტრეველის, მ. გვასალიის, ბ. ყიფლანის და დ. დუმბერაძის საერთო აზრი), რომ ის, რაც მწერალს დღემდე გაუკეთებია, უკვე უზრუნველყოფს ლ. ქიაჩელის ახალი ნაწარმოების გამარჯვებას.

მთავარი, რაც ლ. ქიაჩელის ნაწარმოებს განსხვავებს ამავე თემაზე დაწერილ სხვა ქართულ ნაწარმოებებიდან, ეს არის მრავალად შეკრული ფაბულა და ცოცხლად დახატული ადამიანები. რომანის მაგისტრალურ ღერძთან ორგანულად დაკავშირებული ყოველი ცალკე ეპიზოდი ამძაფრებს ამბის განვითარებას და შეიცავს ოსტატურად შეკრული კვანძის გახსნის არა ერთად-ერთ (როგორც ეს მოდის გამოუცდელ ავტორებს), არამედ მრავალ შესაძლებლობას, რაც მკითხველში იწვევს შეუნელებელ ინტერესს და ნაწარმოების ბოლომდე წაკითხვის დაუძლეველ წყურვილს. ნაწარმოებში მრავალი ძველი და ახალი ადამიანი მოჩქეფდობს, მაგრამ ყველას—თვით ეპიზოდურ ფიგურებსაც კი აქვთ თავისი ინდივიდუალური სახე, ისე რელიეფურად გამოყოფილი, რომ მკითხველს ბოლომდე ამახსოვრდება იგი და არ ურევს სხვებში. მკითხველს სჯერა ყოველი მათგანის რეალობა, სჯერა, რომ ისინი შესაძლებელია ყოფილიყვნენ ჩვენს ცხოვრებაში და იყვნენ კიდეც. ორი სამი დამახასიათებელი შტრიხით, ყოფაცხოვრების ცალკე სცენების ალფერით, მოკლე დამახასიათებელი დიალოგით მწერალი ცხოველად წარმოგვისახავს დღევანდელ სოფელს მისი მრავალფეროვანი მოსახლეობით.

რომანში გამწვავებული ბრძოლა, დიდი ვნებათა ღელვაა გადმოცემული, თუმც ძასი ეერც ხანგლების ტრიალს ეხედავთ და არც თოფების სროლა გვესმის.

ავტორი არ გვეკლინება სოფლად დატრიალებულ დიდი ამბების გულგრილ მაყურებლად, ნაწარმოები ოპტიმისტური ტონითაა დაწერილი, მაგრამ ეს რწმენა ახალი სოფლის საბოლოო გამარჯვებაში მოცემულია არა მყვარალა პათოსიერი ფრაზებით, არამედ ავტორის დამოკიდებულებით თავის გმირებთან და მოვლენებთან. მომხიბვლელია ავტორის შეუნიველი იუმორი, მისი ძალდაუტანებელი ირონია, რომელიც რაღაც განსაკუთრებული სიფაფლით აშუქებს გლეხობის ძველი თაობის ჩვეულების ძალას, მის წინააღმდეგობას, მის ცდას შეეხრჩოლოს ცხოვრების გარდამქმნელ ძალას, მაგრამ ავტორი არსად არ ლალატობს ზომიერების გრძნობას. ამიტომ რჩება ნაწარმოებიდან მთლიანი ჰარმონიული შთაბეჭდილება.

წაკითხულ თავებში მწერლებმა აღნიშნეს ზოგიერთი სუსტი მომენტიც, რომელიც გადამუშავებას საჭიროებს. ალაგ-ალაგ ავტორი დიდხანს ჩერდება ზოგიერთი სცენების, ეპიზოდების, ცალკე ჰერსონაჟების ქცევების დეტალურ აღწერაზე, რაც ადუნებს მოქმედების განვითარების საერთო ტეშს. ალაგ შეპარულია მშრალი სქემატიური აღწერილობა. ავტორმა საგმართლიანად მიიჩნია ეს შენიშვნები.

უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ამ ადგილებს შეაკლეკავს და მოკლე ხანში საბჭოთა მკითხველებს მიაწოდებს მეტად საინტერესო და ამაღელვებელ წიგნს ჩვენს განახლებულ სოფელზე.

„მთვარის მოტაცება"

გეს. ჟღენტი

[illegible]ბულ ყურადღებით და დაინ[illegible]ებით შეხვდა საბჭოთა მკითხველი [illegible] გადოებრივობა კონსტანტინე გამსა[illegible]ის ახალ რომანს „მთვარის მოტაცება". ეს აიხსნება არა მარტო იმ ღირსებ[illegible], რომელიც ამ ნაწარმოებს უფლებ[illegible] მოეპოვება, არა მარტო იმ იდეურ [illegible]ქმედებითი შეცდომებითა და ჩავარ[illegible], რომელთაც ადგილი აქვს რომან[illegible] არამედ აგრეთვე კ. გამსახურდიას თა[illegible] შემოქმედებითი ბიოგრაფიითაც. [illegible] მკითხველი საზოგადოებრივობა [illegible]ასახურდიას იცნობს როგორც ქარ[illegible] ლიტერატურის ერთერთ აქტიურ [illegible]ქმედებითს ძალას, რომელიც მთელი [illegible] წლების მანძილზე ყველა სხვა მწე[illegible]ზე უფრო მკაფიოდ, მძაფრად და [illegible]ად ახალი ტიპის ლიტერა[illegible] ურელობას ეწევა ეს ადამიანი [illegible] რევოლუციის მიერ განადგურე[illegible] ს სოციალური ფენების ნარჩენების [illegible], განწყობილებებს, სულისკვეთებას. [illegible]ისეს ღიმილი", „მარცხენა თვა[illegible] ქვეყანა, რომელსაც ვხედავ" ამ [illegible] და მრავალ სხვა მხატვრულ თუ [illegible]ტურულ თეორიულ ნაწარმოებთა [illegible] კ. გამსახურდია ენერგიულად [illegible] გამოეყენებია თავისი უთუოდ [illegible]ნო მხატვრული შესაძლებლობა[illegible] რევოლუციური სინამდვილის სა[illegible]ებს, ბრძოლებიან ეპოქაში ჩამ[illegible]ებულ ადამიანებზე. ყველა ამ [illegible]ებებში კ. გამსახურდია „გამოდიო[illegible]ტიკურ-ფეოდალური წარსულ[illegible] ბრძოლაზე და იდეალიზატორად. იგი [illegible] ფეო[illegible]ტიკურ-ფეოდალური ყოფის სპეციალ[illegible] ვლენებს. მისი იდეურ შემოქმე[illegible] ერსენალი ღრმად იყო გამსქვა[illegible] ბურუაზიულ-დეკადენტური შხა[illegible] ს. ჩვენს რევოლუციურ სინამდვილეში [illegible]ურიას იზიდავდა და ინტერეს[illegible] ბოლოდ მომაკვდავი ქვეყნის ის [illegible]ალ-მკვდარი ნაშთები, რომელთაც [illegible] სოციალურ გარემოცვაში დაუკარ[illegible] ყველგვარი საზოგადოებრივი ღი[illegible], ვერ მოუნახავთ საკუთარი და[illegible] ადგილი. ამიტომ მოქცეუ[illegible] ცხოვრების ფსკერზე და [illegible] ველი შელაქლილის მომაკვდინებე[illegible] ნებელ შეპყრობილან.

[illegible]ვდა კლასების დეგენერატიული [illegible], სოციალური ცხოვრების მდინა[illegible] გადასროლილი ადამიანები წარ[illegible] დასახელებულ წოგნების მთა[illegible]ნაეს. და კ. გამსახურდიას [illegible]ტულ საშუალებათა არსენალში მოდ[illegible] ქვეყნის ნანგრევთა ფერებითა [illegible]ელებით იყო გამსჭვალული. მოქი[illegible]ი საღებავები, არსტოკრატიულ[illegible] სტილი, ზოგჯერ ბიბლიურ[illegible] საზღვრებამდე მიყვანილი მანერა [illegible], ყოველივე ეს საკმაოდ შეესაბა[illegible] კ. გამსახურდიას შემოქმედების [illegible]ოთმატიკურ შინაარს და მკაფიოდ [illegible] ავტორის ცდას: რაც შეი[illegible] უფრო მეტად დაეცალებია, ეიე[illegible] ყოველივე ეს ბურჟუაზიული [illegible] ბრალ ეროვნული ფაბულა [illegible] ბრალ ეროვნული ფაბულა [illegible] ბრალ ეროვნული ფაბულა

Палкий привіт театральним робітникам братньої радянської України

Хай живе незламне братство народів нашої великої батьківщини

ფრანკოს სახელოგბის თეატრის შემოქმედებითი გზები

გნატ იურა



...თუ ზერელეთ თვალს გადავავლებთ უკრაინის თეატრალურ ხელოვნების საერთო მდგომარეობას ...დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინ, ...ემდეგი სურათი წარმოგვიდგება: ...რთადერთი უკრაინული თეატრი ...წ. ეტნოგრაფიულ ყოფითი თეატრი ...ოვსკისა, ამ უკანასკნელის მიერ ...ექმნილი და შთაგონებული, თეატ...ი, რომელმაც გასული საუკუნეების ...0-იან და 90-იან წლებში მოგვცა ...კენური ხელოვნების უმაღლესი ნი...უშები და უკრაინის თეატრის დიდი ...სტატები — სადოვსკი, საკსგანოვს..., ხანკოვეცკაია და კროპივნიცკი, ...-20 საუკუნის პირველ ათეულ წლე...ში, განსაკუთრებით პროლეტარული ...ევოლუციის წინა პერიოდში, დაბ...ა დაექანა და იწყო გადაგვარება. ...ეატრში ფენი მოიკიდა აუტანელმა ...ენიურმა და აქტიორულმა შტამპმა. ...ტიორული შესრულების წარმოუდ...ნელმა პრიმიტიულობამ და სხვ. ...ველივე ამას თან სდევდა ყოფითი ...ეატრის იდეური მხატვრული გა...ტაკება, რაც ცხადყოფდა, რომ ...ვის ებოქის პირობებში ოდესღაც ...ხელოვანი, პროგრესიული თეატრი ...თავრებდა თავის მისიას, იყი...ებოდა თავის ეტნოგრაფი...ულ ყოფითს ფორმებში და ...ებოდა რეაქციურ-იდეოლოგიურ ...ენების თეატრად. ასეთ მდგომარე...ბაში მოუსწრო მას ოქტომბრის რე...ოლუციამ.

სხვა ხაზით მიიმართებოდნენ კონ...რეოლუციური ცენტრალური რა...ს და პეტლიურას ხანმოკლე ბა...ონობის დროს წარმოშობილი ...ეატრები („ნაციონალური თეატ...ი." „ახალგაზრდა თეატრი", რო...ლსაც მისი დამაარსებელი კურბა...ხელმძღვანელობდა). უკრაინის ნა...ონალური წვრილბურჟუაზიის იდ...ოლოგიის გამომხატველი ეს თეატ...ები ნერგავდნენ ევროპული და ...ასული ბურჟუაზიული თეატრალუ...ი კულტურის ყველაზე მიუღებელ ...ისგავსო ფორმებს, ამყნიდნენ-რა ...ათზე უკრაინულ ნაციონალიზმს. ...თს ასეთ მისწრაფებას ამყოვნებ-

...ფრანკოს სახ. თეატრის მუშაკები ქართველ დრამატურგებთან.

ქართველი მწერლების შეხვედრა ფრანკოს სახ. თეატრის კოლექტივთან

...ფრანკოს სახელობის თეატრის კოლექ...ივთან ქართველი მწერლების შეხვედრა ...ივნისს) წარმოადგენდა იმ დაძაბ...ულ ატმოსფეროს, რომ უკრაინისა და ქარ...თველი ხალხის კულტურული დაახლოება ...ოდ ავიდა ახალ, უფრო მაღალ საფეხ...ურზე. იმ მუშაობას, რომელიც ამ ხუთი ...ლის წინათ დაიწყო ქართული კულტუ...ის პოპულარიზაციისთვის უკრაინაში, ...ელ უკრაინულისა — საქართველოში, ...ეგ გამოუღია შესანიშნავი ნაყოფი. უკ...ინელი სტუმრებისა და ქართველი მწერ...ლების მიერ წარმოთქმული სიტყვები ...ადყოფდნენ, რომ, ორივეს უკვე გარ...კვეული წარმოდგენა აქვთ მოძმე ხალხე...ბის კულტურულ მემკვიდრეობაზე, ახლა...ინ ადამ ... დიდ კულტურულ მშენებლობაზე ...ახლა დგას ურთიერთგაცნობის კიდევ ...ერთ გაღრმავების და გაფართოვების სა...ფეხი.

...ეხვედრას საზეიმო ხასიათი ქონდა, მა...ამ აქვავ, დროს იგი უაღრეს პრაქტი...ულ ინტერესს შეიცავდა.

— თქვენთან ჩამოვედით ჩვენი შემოქმე...ებითი მუშაობის შესახებ პატაკის ჩასა...ებლად,—სთქვა ფრანკოს სახ. თეატრის ...ოძღვანელმა სახალხო არტისტმა **გნატ ...ურამ**,—და ის შეფასება, რომელიც ხვდა ...ართველ ...ენ ...ეატრს, გულ...ველად გვაღელვებს და გვაფრთოვა...ს, რადგან ეს არის შეფასება იმ ხალ...ის, რომელსაც ყავს რუსთაველი და ისე...ეატრალური კულტურის კოლექტი...ი, როგორიც არის რუსთაველის და ...ანაშვილის სახელობის თეატრები.

...ართველ საბჭოთა თეატრს დიდი ღვაწ...�ეთ ...ენ ...ენ ...ენ

„მთვარის მოტაცება“

(დასასრული)

...ოდვით, თუ რისი ჩვენება და აღ-
...ეზრახავს ავტორს. ავტორი ატა-
...ვის გმირებს მუზეუმში, მთაწმინ-
...ერსიტეტში, ქალაქის და მთე-
...ელოს სხვადასხვა კუთხეებში,
...ელ მკითხველს ისეთი შთაბეჭდი-
...ა, რომ მათი მოძრაობის და
...ბა, მიზეზს შეადგენდა ავტორის
...�ამბო მკითხველისათვის ამა
...ეხე-კოშკის ისტორია, ამა თუ იმ
...ამბავი, ან აღიწერა ესა თუ ის
...ი, ადგილი, მუზეუმი.
...ის განვითარებაში ადგილი აქვს
...ინო დისპროპორციას. თუ პირვე-
...ი წიგნი უმთავრესად აღწერიოდ-
...ით ძიმდინარეობს, სამაგიეროდ
...ი ...ეიცავს სიუჟეტურ დინამი-
...ა მთელ რიგ მომეტებში მძაფრ
...ზამდე აყვანილ მოქმედებებს.
...ინშნოს, რომ ავტორს მთელ-
...ტუაციები ისეთის ძლიერი დრამა-
...ა აქვს. ზესრულებაა, რომ მათ-
...ა აუღელვებლად შეუძლებელია.
...მენტებში, ავტორი აღწევს ზემო-
...ა. მკითხველის დაპყრობის დიდ

...ერთერთი სპეციფიურობას შეა-
...ავტორის უშუალო ჩარეცა მოქმე-
...განვითარებში. მთელ რიგ მიმენ-
...ავტორი გადაიქცევა რომანის გმი-
...ა ხდება რომანის მოქმედებათა მო-

...ზრად მიმართავს სიმბოლიურ
...ს, პიეტურ ალეგორიების ხერხს.
...ბლია ამ რომანის გარჩევა დე-
...ის რეალისტური სიზუსტის თვალ-
...ით. აღსანიშნავია, რომ მწერლის
...ხედვა ამ რომანშიაც საკმაოდ გა-
...ვანებულია მისტიური ირაციონალი-
...შეგრძნობით. მაგალითად იგი
...ლრუბელს-ცასა და ხმელეთს
...ბწოლილი სატანას ალეგო-
...ზეზე ამართულ აფრეს იგი ხე-
...როგორც შორეულ უდაბნოში აზი-
...პირამიდებს, მკვდრეთით ამდგარ
...ეს ამ მკვდართა სულებს და სხვა.
...და ხატვის რეალიზმი ამ რომან-
...დარღვეულია გამსახურდიასთვის
...ი დამახასიათებელი მისტიური მიდ-
...ობექტიური სამყაროსადმი. კ. გა-
...ოდიას წერის სტილი ხასიათდება
...ის განსაკუთრებული ბაზგასმულო-
...ბშირათ ფორმა გამოიის წინა პლა-
...გადაიქცევა განმსაზღვრელ ფაქტო-
...ავტორი ხშირად მიმართავს რეალი-
...ი პროზისათვის უცხო პათეტიურ-
...ულ ფორმებს მეტყველებისა. სა-
...ად სტილის ხელოვნური გართულები
...ომანის დამახასიათებელ თავისებურე-
...ურამოდგენს. ამიტომ ატარებს კ. გა-
...ოდიას სტილი მანერულ იერს.
...ბგასმით უნდა აღინიშნოს კ. გამსა-
...ციას არქაისტული ენობრივი პოზა.
...ი, იგი არა მარტო რომანის ლექსიკას
...თავს თანამედროვე მკითხველისა-
...ოვვე ...ნიშნელობადაკარგულ და გაფ-
...ერ სიტყვიერ მასალით, პროვინციალი-
...ს, არამედ, რაც მთავარია **იგი** ცდი-
...ს აღადგინოს ქართული მეტყველების

რედაქციისაგან: ვათავსებთ რა ბესო ჟღენტის ამ წერილს, ჩვენი გაზეთი იწყებს დისკუსიას კოლეგ. გამსახურდიას რომანის იდეურ-მხატვრულ ღირებულების შესაფასებლად და სთხოვს კრიტიკოსებს, მწერლებსა და მკითხველებს გვაწოდონ წერილები „მთვარის მოტაცების“ შესახებ.

ბ. ესარიონ ბელინსკი

(დაბადებიდან 125 წლისთავის აღსანიშნავად)



ბ. ბელინსკი. ნახ. ასტაფიევისა.

ბესარიონ ბელინსკი არის რუსული რეალისტური კრიტიკის საფუძველმდებელი. მან შეუქმნა რუსეთს მისთვის საჭირო ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც უწინ არც კი არსებობდა. ის, რასაც მანამდე ლიტერატურულ კრიტიკის სახელით ასაღებდენ რუსეთში, არსებითად რომ ითქვას მხოლოდ გრამატიკული და სტილისტიკური ანალიზით განისაზღვრებოდა: აიღებდენ რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს და გულმოდგინედ ეძებდენ, ხომ არ არის შიგ სინტაქსისა და პოეტიკის მოთხოვნილებები დარღვეული. ასეთი პედანტური გამოძიების დროს მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, მისი ძირითადი იდეა, მისი კავშირი მწერლის პიროვნებასთან და ამ პიროვნების გარეშე არსებულ საზოგადოებასთან თითქმის სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა და მთელი კრიტიკაც წარმოადგენდა მოწინააღმდეგესთან ჰირადი ანგარიშის გასწორების საშუალებას. ბელინსკიმ ბოლო მოუღო ამგვარ სუბიექტივიზმს ლიტერატურული კრიტიკის დარგში და დააყენა კრიტიკა ობიექტივურსა და რეალისტურ ნიადაგზე. ეს იყო ბელინსკის უდიდესი დამსახურება არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის, არამედ მთელი საზოგადოებრივი აზროვნების და მთელი კულტურული განვითარების წინაშე, და სწორედ ამით დაიმსახურა ბელინსკიმ რუსეთის ლესსინგის სახელწოდება.

მართალია, ლესსინგის დრმა ერუდიცია ბელინსკის აკლდა. ლესსინგი იყო დიდი მეცნიერი, რომლის ტოლს 18 საუკუნის გერმანია, შეიძლება არც კი იცნობდა, და რომელიც ანტიკური საბერძნეთის ხელოვნების საკითხებში ისე თავისუფლად ერკვეოდა, როგორც თანამედროვე გერმანულს ლიტერატურაში. რაც შეეხება ბელინსკის, ის იყო ერთი უბრალო რაზნოჩინელი, სიღარბისაგან გალოთებული ექიმის შვილი, რომელიც გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან იქნა გამორიცხული და რომელსაც უნივერსიტეტის სისტემატური კურსის დასრულებაც აღარ დაეცალეს. მაგრამ ბელინსკის, მიუხედავად ამისა, გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის, ვიდრე ლესსინგს გერმანიისათვის, და მიზეზი ამისა იმ სპეციფიკურ საზოგადოებრივ პირობებშია საძიებელი, რომელშიდაც მომდინარეობდა რუსულ ლიტერატურის განვითარება. თუ გერმანიაში ლიტერატურა იყო ერთ-ერთი შტო საზოგადოებრივი იდეოლოგიისა, რუსეთში ბელინსკის დროს ლიტერატურა იყო ერთად ერთი წინ წამყვანი იდეოლოგიური ძალა. „მარტო ლიტერატურაში არის სიცოცხლე და მოძრაობა, და სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენში მწერლის სახელი დიდი პატივით სარგებლობს და მცირე ნიშის პატრონისათვისაც კი უზრუნველყოფილია გამარჯვება“,—სწერდა თ‌ომონ ბელინსკი გოგოლს.

ვისაც ასე კარგად ესმოდა ლიტერატურის მნიშვნელობა რუსეთში, მისგან არც არის გასაკვირი, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლე ლიტერატურას შესწირა. ბელინსკი იყო უშიშარი რაინდი, რომელსაც არავითარი პირადი ანგარიში, არავითარი ეგოისტური ზრახვა არ აბრკოლებდა მწერლის დიადი მოვალეობისადმი სამსახურის საქმეში, რა მიიღო მერე ბელინსკიმ ჯილდოო თავისი გმირული მოღვაწეობისათვის? აუწერელი სიღარიბე, ყოყოჩა თავდაზნაურული ინტელიგენციის ქიდმალლური მოპყრობა, ნიკოლოზ პალკინის მთავრობის დევნა და ფილტვების ჭლექი, რომელმაც დაბადებიდან 37 წელზე მოუსწო სახელოვან კრიტიკოსს სიცოცხლე. ეგრანოვსკი სწერდა ეერცენს: „ნეტავ ბელინსკს, რომ დროზე მოკვდა“. მართლაც, რომ ცოტა კიდევ დასცალებოდა ბელინსკს, მას ცარიზმის ჟანდარმერია აუცილებლად უკრავდა თავს პეტერბურგის ციხეში, საიდანაც გამოსვლა იოლი საქმე რადი იყო,—თუმცა ისიც სათქმელია, რომ ნიკოლოზ პირველის დროს ციხის გარეშე ცხოვრება ბევრად მაინც და მაინც არ სჯობდა ციხეში ყოფნას, ვინაიდან მთელი რუსეთი წარმოადგენდა შაშინ ვეებერთელა საპყრობილეს. ბელინსკის სძულდა ეს საპყრობილე.

მისი არსება ვერ ეგუებოდა დესპოტიზმს, ვერ ითმენდა ხალხის ცინკურ ექსპლოატაციას და ვერ ურიგდებოდა იმ მძიმე ბორკილებს, რომლითაც ეზეშსა და ტლანქს თვითმპყრობელნის შეერული ყავდა თვალუწვდენელი იმპერია, სადაც ყოველი კაცი ან ბატონი უნდა ყოფილიყო, ან მონა.

ულმობელი ბედის ირონიით ამ „მკვდარი სულების“ გარემოცვაში მოუხდა მაღალი იდეალებით ანთებულ ბელინსკის ცხოვრება, და მთელი თავის სიცოცხლის ენერგია, მთელი თავისი უზარმაზარი ბუნებრივი ნიჭი, რომლის უარყოფა მხოლოდ იდიოტებს თუ შეეძლოთ, ამ უმწიკვლო პიროვნებამ იმას მოანდომა, გაეფანტა ირგვლივ გამეფებული წუდნადი და გამოეფიზლებია საღათას ძილს მიცემული საზოგადოება. ერთის შეხედვით, უიმედო უნდა ყოფილიყო ეს ცდა. რას გახდებოდა ერთი კაცის ძალღონე იქ, სადაც ასათასებია საჭირო! მაგრამ ბელინსკის თავგანწირული შრომა უნაყოფოდ არ დაკარგულა: ბელინსკი იყო ის მარცვალი, რომლიდანაც წარმოიშვა რუსეთის რევოლუციონური ინტელიგენცია—ინტელიგენცია ჩერნიშევსკებისა და დობროლუბოვებისა, რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს რუსეთის ძველს სოციალ-პოლიტიკურ წესწყობილებას და ნიადაგი მოუმზადეს 20 საუკუნის რევოლუციებს რუსეთში.

ბელინსკის ლიტერატურულ - კრიტიკულ მოღვაწეობას ჩვეულებრივ ორ პერიოდად ანაწილებენ. პირველ პერიოდში ბელინსკი იმყოფებოდა გერმანული იდეალიზმის გავლენის ქვეშ და თავის გამოსახულებას ეს გავლენა პოულობდა ხელოვნების იმ იდეალისტურ კონცეპციაში, რომელიც ჰქონდა ბელინსკის ამ დროს. მეორე პერიოდში ბელინსკი თავისუფლდება გერმანული იდეალიზმის გავლენისაგან, დგება ლუდვიგ ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფიის ნიადაგზე და ითვისებს ლიტერატურის ახალს კონცეპციას, რომლის თვალსაზრისით ლიტერატურის მთავარი დანიშნულებაა სოციალ-პოლიტიკური ფუნქციის შესრულება.

განსაკუთრებით მტკივნეული შეიქმნა ბელინსკისათვის გატაცება ჰეგელის ფილოსოფიით, რომელსაც ის სტანკევიჩის წრეში გაეცნო და რომლის ღრმა შესწავლის შესაძლებლობა ბელინსკის არ ჰქონდა უკვე იმის გამო, რომ ის მოკლებული იყო საშვალებას დედაში წაეკითხა ჰეგელის წიგნები. ნაწილობრივ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჰეგელის დიალექტიკური ფილოსოფია, რომელსაც გერცენი სრულიად სამართლიანად „რევოლუციის ალგებრას“ უწოდებდა, იქცა ბელინსკის წარმოდგენაში თავისებურ მეტაფიზიკად, თითქმის რელიგიად, რომლის დოგმების გამოყენებით ბელინსკი ცდილობდა გარკვეულ“ყო ცხოვრებისა და ლიტერატურის რთულ საკითხებში. სხვებზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გენიალურ კრიტიკოსზე ჰეგელის ერთმა დებულებამ: „რაც ნამდვილია, ის გონიერია“. ჰეგელის ეს დიალექტიკური თეზა, ბელინსკიმ გაიგო მეტაფიზიკურად და ჰეგელის ცვალებადი და განვითარების პროცესში მყოფი „სინამდვილე“ წარმოიდგინა, როგორც უცვლელი და განვითარება დასრულებული სინამდვილის ექვივალენტი. აქედან წარმოიშვა მრავალი სამწუხარო შეცდომა ბელინსკის ლიტერატურულ- კრიტიკულ მოღვაწეობაში, რომლებმაც თავისი კონდენსირებული გამოსახულება ჰპოვეს ბელინსკის სტატიებში: „ბოროდინოს ბრძოლის ნარკვევები“, „ბეტეს კრიტიკოსი მენცელი“ და „ვაი ჭკუისაგან“.

1840 წლის მეორე ნახევარიდან (არა გარეშე გერცენის გავლენისა) ბელინსკი გამოემშვიდობება ჰეგელის ფილოსოფიას, რომელიც მას ასე ცალმხრივად ჰქონდა გაგებული, და მის ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობაში მოხდება რადიკალური ცვლილება. „რაც უფრო მეტს ვცხოვრობ“, წერდა ბელინსკი 1840 წელს: „მით უფრო და უფრო მიყვარს რუსეთი, მაგრამ მხოლოდ მის სუბსტანციალობაში. რუსეთის თანამედროვე სინამდვილე კი სასოწარკვეთილებაში მაგდებს: ბინძური, საძაგელი და ალმაფოთებელია იგი“.

ამიერიდან სინამდვილესთან შერიგებას ბელინსკი არ აცხადებს უკვე პოეზიის უზენაეს მოვალეობად. „მე ვწყევლი საძაგელ სინამდვილესთან შერიგების საძაგელ მახეწრაფებას“—ასე სწერდა მეტაფიზიკური ბურუსისაგან გამოფხიზლებული ბელინსკი, რომელიც ზიზღით იგონებდა თავისი წარსულის იდეალისტურ შეცდომებს.

„წმინდა ხელოვნების“ ცნებამ ადგილი დაუთმო ამ დროს საზოგადოებრივი მოტივებით გაჟღენთილი პოეზიის ცნებას: „ჩვენს დროში პოეზია და ხელოვნება იქცნენ საზოგადოებრივი საკითხების გამომხატველად“, სწერდა 1843 წელს ბელინსკი. მწერლის უმთავრეს მოვალეობად ახლა ბელინსკის მიიჩნია საზოგადოებისათვის სამსახური და სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის მიღება. „პოეტი უწინარეს ყოვლისა არის კაცი, შემდეგ კი თავისი ქვეყნის მოქალაქე. ამიტომ ის უნდა დროს ემსახურებოდეს“, ამბობდა ბელინსკი. წმინდა ესთეტიკური კრიტიკა ამ პერიოდში ბელინსკის უკვე არ აკმაყოფილებდა და ის მოითხოვდა პუბლიცისტურ კრიტიკას. კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და ბელინსკი მივიდოდა თავისი მოწაფის ჩერნიშევსკის უტილიტარიზმამდე, ვინაიდან მას უკვე კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოეზიაში გამოთქმული შინაარსის მორალურ-სოციალურ სისადეს. „შენ სიბარიტი ხარ“, სწერდა ბელინსკი თავის ნაცნობს ბოტკინს: „შენ გჭირია პოეზია, მხატვრულობა... მე კი პოეზია და მხატვრულობა მჭირია მხოლოდ იმდენად, რომ მოთხრობა იყოს მართალი, ე. ი. არ გადაკვარდეს ალეგორიაში. მთავარია, რომ ნაწარმოები ალვიძებდეს კითხვებს და ახდენდეს საზოგადოებაზე ზნეობრივ გავლენას. თუ ნაწარმოები აღწევს ამ მიზანს პოეზიისა და შემოქმედების დაუხმარებლად, ის ჩემთვის არა ნაკლებ სან

ფაქტები და შენიშვნები

პროფ. ალ. ბარამიძე.

1. ერთი ფაქტური ცნობა „ვეფხის ტყაოსნის“ დევნის ისტორიიდან.

საზოგადოდ ცნობილია, რომ რუსთველი თავისი მოწინავე და თავისუფალი აზროვნობით რეაქციულ-კლერიკალური საზოგადოებრიობის რისხვას იწვევდა საუკუნეთა განმავლობაში. განსაკუთრებით მტრულად აამოძრავა ეს საზოგადოებრიობა „ვეფხის-ტყაოსნის“ ვახტანგისეულმა გამოცემამ (დაიბეჭდა ტფილისში 1712 წელს). ბეჭდური გამოცემის წყალობით ჰოემა უფრო მასობრივი და პოპულარული გახდა. ამასთან გამოშცემელმა ძეგლის გადასარჩენად თავისებურ ხერხსაც მიმართა: „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტს ალეგორიული განმარტება მისცა, ჰოემა „სალვთო“ ნაწარმოებად გამოაცხადა მაგრამ ვახტანგის ვერც იმ ნაბიჯმა იხსნა „ვეფხის-ტყაოსანი“ სამოდელოების თავდასხმისაგან. კლერიკალური შეუწყნარებლობით განთქმულმა მთავარეპისკოპოსმა ტიმოთემ გესლითა და ღვარძლით სავსე შენიშვნა უძღვნა როგორც ჰოემის ავტორს, ისე კომენტატორს (ვახტანგს): „ესე (რუსთველი) იყო მთქმელი ლექთა ბოროტთა, რომელმან, ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. **ხოლო უწინარეს ჩვენთა უმეცართა სამღვთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი**“-ო (მოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა, **პლ. იოსელიანის** გამოცემა, ტფ. 1852, გვ. 154, დაყოფა ჩვენია ა. ბ.).

ტიმოთე მთავარეპისკოპოს მრავალი მიმდევარი გასჩენია და დღიურ საკითხადაც ქცეულა „ვეფხის-ტყაოსნის“ პირდაპირ ფიზიკური განადგურება. „მოხილვის“ გამომცემელმა, პლ. იოსელიანმა, უკვე ციტირებულ ადგილს თავის მხრით შემდეგი საგულისხმო შენიშვნა დაურთო: „ამა ჰაზრისავე იყო თჳით კათოლიკოსი ანტონ პირველი, რომელმანცა მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგისა დროსა, 1710 (sic) წელსა, ვეფხის-ტყაოსანნი დაჰსწვნა და შთაააყრევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნისა ამის ქართველთა“.

პლ. იოსელიანის ეს მოწმობა თუმცა არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ სათანადო წყაროზე მითითებით არ ყოფილა გამაგრებული. ამჟამად ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი, ჯერჯერობით ყველაზე უფრო ძველი ცნობა, რომელიც სავსებით დასტურებს და დოკუმენტურ მნიშვნელობას აძლევს პლ. იოსელიანის მოწმობას. ეს ძველი ცნობა ეკუთვნის თავის დროისათვის გამოჩენილ სწავლულ ბერს, პეტერბურგელ მიტროპოლიტ ევგენის. უკანასკნელმა საყურადღებო ცნობა გამოაქვეყნა კიდევაც 1802 წელს ქართული კულტურის ისტორიისათვის მრავალმხრივ საყურადღებო წიგნში: **„Историческое изображение Iрузии в политическом, церковном и ученбном ее состоянии. Сочинено в Александро-Невской Академии в Санкт-Петербурге, СПБ, 1802“.**

ამ წიგნის ბიბლიოგრაფიული აზვიათობის გამო უყურადღებოდ რჩებოდა „ვეფხის-ტყაოსნის“ დევნის შესახები ცნობაც. აი ეს ცნობა: **„Поема сия Вепхис Ткаосани) при царе Вахтанга V (sic) была в Тифлисе напечатана, однакож вскореис треблена так, что ныне весма редко можно видеть печатные олной экземпляры“.**

(გვ. 87, დაყოფა ჩვენია, იბეჭდება დედნის მართლწერით, ა. ბ.).

ამრიგად, მიტროპოლიტ ევგენის 1802 წელს დასტამბული შრომა ადასტურებს „ვეფხის-ტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის **იძულებით მოსპობის** ფაქტს. მართალია, ავტორი არაფერს ამბობს პოემის მოსპობის (თუ მომსპობთა) ვინაობის შესახებ, მაგრამ ეს სრულიად გასაგებია: რაც არ უნდა იყოს, რუსი მიტროპოლიტისთვის უხერხული იქნებოდა ქართველი რისტიანი ორტოდოქსების ნიღაბის ამბა და ბოროტმომქმედი კათალიკოსის პირადი მხილება. მაინცადამაინც მიტროპოლიტ ევგენის მოწმობა არსებული სახითაც ძნიშვნელოვნად **მამდიდრებს** ჩვენს ცოდნას „ვეფხის-ტყაოსნის“ დევნის ისტორიიდან. რუსი მიტროპოლიტის პირით ვინითონ საეკლესიო ბანაკი ცხადყოფს თავის ბარბაროსულ საქციელს ქართული ლტურის წინაშე. ინტერესს მოკლებული არაა ის გარემოებაც, რომ თავის წინს შედგენისას მიტროპოლიტი ევგენი ეკუთვნეთ და ეჭვმიტანელი წყაროებთ ეგრებლობდა. წყაროების თაობაზე ავტორი საგანგებოდ გვიამბობს წინასიტყვაობაში: წიგნის მასალებით გადმოგცემს:— **Почеркнуто не из иностранных европайских путешествователей, но из р инальных источников, большею частью сообщенных от пребывающих ныне в Санкт-Петербурге грузинских посланников и депутатов“.**

2. დავით გურამიშვილის უცნობი არზა

ღრმად მოხუც დავით გურამიშვილს, ოთხმოც წელზე გადაცილებულს, ფიზიკურად უძლურსა და თვალნაკლულს (ცალი თვალითა სავსებით ბრმას) საკუთარი ხელითი გადაეწერინა „დავითიანის“ უკანასკნელი რედაქციული ტექსტი, ხელნაწერში ჩაუთავეს მის მიერვე გამოგონილი საჭირო ნახაზებითა და განმარტებით შემკობილი სარწყავისა და წისქვილის მანქანების აღწერილობა. მანქანების რთული ნახაზებიც თვითონ დავითს შეუსრულებია და ბოდიშით აღუნიშნავს: „ამის ავად მოხაზულობასს ნუ დამიწუნებენ, ცალის თვალითა სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდი. ჩემის ხელითა მაგის მეტი ვერ შევიძლე და სხვას ვერავის ვენდევ ამის მოუპარაობის მიზეზითა“-ო (დავითიანი“ ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, ტფ. 1931, გვ. 313). ნავთიერად ხელმოკლე პოეტ-გამომგონებელს ვერ მოუხერხებია თავისი მანქანების პროექტიული გამოყენების შესაძლებლობათა შემოწმება, „დავითიანი“ ნახაზებითურთ გაუგზავნია იმ დროს პეტერბურგში ელჩად მყოფ მირიან ბატონიშვილისათვის და ოცი თუმანი შემწეობა („სუბსიდია“) უთხოვია. მირიანისათვის გაგზავნილი წერილი დათარიღებულია 1787 წლის სექტემბრით (პოეტი დაიბადა 1705 წელს), ხოლო მანქანების შემოწმება ავტორს მომდევნო წლის გაზაფხულისათვის ჰქონია განზრახული. წერილის ბოლოს პოეტი დასძენს: „თუ რომ სიკვდილმან მისწროს, ან სხვის მიზეზით იმისი დადგმა ვერ შეეძლო, ეს ოცი თუმანი ისევ უკან მიერთვეს“-ო.

სამწუხაროდ დაბეჯითებით არ ვიცით ამ შესანიშნავი წამოწყების შედეგი. საფიქრებელი ხდება, რომ გურამიშვილს სიკვდილი წამოსწრებოდა, სანამ საქართველოს დაბრუნებას მიიღებდა. მაგრამ აღნიშნულმა შემთხვევამ გადაგვირჩინა ჩვენ დავით გურამიშვილის უკვდავი ლიტერატურული შემკვდრეობა. „დავითიანი“-ს ხელნაწერი წიგნი მირიან ბატონიშვილს მაროლაც მიუღია და შემდეგ საქართველოში ჩამოუტანია. ამჟამად ავტოგრაფული ხელნაწერი მთლიანად და ურაკლად დაცულია საქართველოს მუზეუმში როგორც ახლა ირკვევა, ხელნაწერთან ერთად დავითს მირიახისათვის გაუგზავნია ოფიციალური „არზა“ (თხოვნა). მიღებული წესის თანახმად, „არზა“ ცალკე ქაღალდზე ყოფილა დაწერილი. დედან ხელნაწერს დაცილებული ის არზა შემდეგში დაკარგულა. საბედნიეროდ პეტერბურგში ადრევე გადაუღიათ „დავითიანის“ პირები და შიგვე ჩაუთავეთ არზის ტექსტიც. ერთი ასეთი ხელნაწერი მოიპოვება ლენინგრადის აღმოსავლეთის-მცოდნეობის საკვლევაძიებო ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში (ძირითადი ქართული ფონდის № 23). ხელნაწერი თეიმურაზ ბატონიშვილის ნაქონია და გადაწერილია 1813 წელს. სხვა მინაწერებთან ერთად მას შემოუნახავს დავით გურამიშვილის არზაც. ეს დღემდის უცნობი არზა მრავალ საყურადღებო დეტალს შეიცავს და, თავისთავად ცხადია, გამოქვეყნების ღირსია. აი იმისი ტექსტიც:

ა რ ზ ა:

ქ. ღმერთმან ბედნიერის მათის დიდებულების ქართლისა და კახეთის მეპატრონის მეფის ირაკლის ძის მირიანის ჯირი და სატიკეარი მათს ფერხთა მიწა-მტვერს მომეცეს! მათი გავიგონე დიდროანს ღა. მებ^ბი შესაქცევლად ქართლურის წიგნების დამჭირნოება, და ამად კადნიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი წიგნი, რომელსა ეწოდების „დავითიანი“. და ამ წიგნში არს ჩატანებული ჩემგნით ახალი მოგონებული სარწყავისა და წისქვილის მოხაზულობა და ამბავი. ჩემის ხელით დაწერილია ქართულად და ეს **ჯერ არსად** არის გამოცხადებული ჩემის **უძლურებითა და გაუბედობითა.** და ამისას ვითხოვ მათის დიდებულობის წყალობასა: ეს ამბავი რუსულად ათარგმნინონ და მოხაზულობა უმჯობესად მოახაზინონ და სვეტლაშის კნიაზს [1]) აჩვენონ და ცაამინჯონ და, რაც იქიდამ ბრძანება გამოვიდეს, მე მიბრძანონ.

მოწიწებით მიწა-პირგაერთებით თაყვანისმცემელი მათი მონა და ყმა-ყოფილი გურამისშვილი დავით.

წელსა 1787, სეკდემბერს.

[1]) იგულისხმება ფელდმარშალი გრიგორი ალექსანდრეს ძე პოტიომკინი.



რუსთაველის ძეგლის პროექტი

ილიას კრებული

ილიას საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით სახელგამი სცემს პოეტის მხატვრული ნაწერების სრულ კრებულს ერთ ტომად. კრებულში მოთავსებული იქნება ლექსები, პოემები, მოთხრობები (ძირითადი ტექსტები).

წიგნი დაიბეჭდება უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე და ილუსტრირებულ იქნება მხატვარ ელენე ახვლედიანის მიერ.

თანამედროვე ქართველი ლირიკოსები უკრაინულად

პოეტ მიკოლა ბაჟანის რედაქციით უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობა სცემს თანამედროვე ქართველ ლირიკოსების კრებულს. ლექსები სთარგმნეს ბაჟანმა, ტიჩინამ, რილსკიმ, პერეგომაისკიმ, ბოლოვანივსკიმ, ბოჭშუტეინმა, დმიტრენკომ, ბალიშკომ და სხვა.

გარდა ამისა პოეტი აკადემიკოსი პავლო ტიჩინა სთარგმნის ვაჟა-ფშაველასა და გალაქტიონ ტაბიძის რჩეულ ნაწერებს.



დეკიზი „პოეზია“

„მთვარის მოტაცება“ რუსულად

ა.-კ. სახ. გამომცემლობა „ზაკგიზი“ რუსულად სცემს კონსტანტინე გაბესახურდიას რომანს „მთვარის მოტაცება“-ს. იგივე რომანი საგამომცემლო გეგმაში შეტანილი აქვს ალმანახ „Творчество народов СССР“-ის რედაქციას, აღნიშნული ალმანახის უკანასკნელ ნომერში მოთავსდება რომანის 5 ფორმა და მოკლე პერეფრაზა.

ხალხური თქმულებები

საქართველოს მუზეუმის ფოლკლორის განყოფილებამ შეკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტული თქმულებები „ვეფხის-ტყაოსნის“ მთავარი გმირის ტარიელის გარშემო.

ყველაზე უფრო საინტერესოდ უნდა ჩაითვალოს ახლახან არავგის ხეობაში ჩაწერილი ვერსია, რომელიც თავის მოტივებით ბევრად წააგავს ჰომეროსის „ილიადა“-სა და „ოდისეია“-ს.

მუზეუმის მიერ შეგროვილი ხალხური თქმულებები ვახტანგ კოტეტიშვილის ვრცელი წინასიტყვაობით ცალკე წიგნად იქნება გამოცემული მომავალ წელს შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის.

ილიოგრაფია

სიკო კანდელაკი: „სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი“, ისტორიული ნარკვევი, გამოსცემა ფედერაციის 1936 წ. რედაქტორი ბერ. ქიქოძე

ამ პატარა წიგნაკს ყველა სიამოვნებით წაიკითხავს. ეს იმიტომ, რომ წიგნაკი აღჭურვილია როგორც შესაფერი მხატვრული ილუსტრაციებით, ისე დამაინტერესებელი შინაარსით.

რას მოგვითხრობს ეს ნოველა?

საქართველოს ისტორიული წარსული სამწუხაროდ ჯერ კიდევ უცნობია ჩვენთვის. მე აქ საძეცნიერო მუშაობის სისუტტეს კი არ ვგულისხმობ, არამედ იმ ფაქტს, რომ ჩვენი ისტორიული მეცნიერების მინაღწევარი არის „ტერა ინკოგნიტა“ ფართო მკითხველ საზოგადოებრივობისათვის

ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს საქართველოს მარქსისტულად დამუშავებული ისტორია, ხოლო ძველი გამოკვლევები ისევ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ, რომ ზოგჯერ პროფესიონალ მწერალსაც უჭირს მათი შოვნა. რაც შეეხება პოპულარულ ისტორიულ წიგნებს, მთლიან კურსებსა და ცალკე ნარკვევებს—ამაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება.

ყველას ახსოვს ის დაგა, რომელიც ატყდა ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს მწერალთა შორის ისტორიული და თანამედროვე რომანის შედარებითს აქტუალობაზე.

ჩემი აზრით, არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო მცდარი აზრი, ვიდრე ეს დაპირისპირება. განა ცხადი არ არის, რომ ისტორიული რომანი მარჯვე მწერლის ხელში შეიძლება უაღრესად აქტუალური გახდეს? ან რამდენი „თანამედროვე“ ნაწარმოები შექმნილა და იქმნება, რომლებიც მარილაკ რომ საარქივოდ გადაქცნენ.

საქართველოს მდიდარ ისტორიას ჯერ ქართველი მწერლის ხელი არ შეხებია ისე, როგორც ეს საჭიროა. უნდა კი ითქვას, რომ მასალის მხრით ჩვენს წარსულს ამ პატარა წიგნაკს ყველა სიამოვნებით წაიკითხავს. ეს იმიტომ, რომ წიგნაკი აღჭურვილია როგორც შესაფერი მხატვრული ილუსტრაციებით, ისე დამაინტერესებელი შინაარსით.

რას მოგვითხრობს ეს ნოველა?

საქართველოს ისტორიული წარსული სამწუხაროდ ჯერ კიდევ უცნობია ჩვენთვის. მე აქ საძეცნიერო მუშაობის სისუტტეს კი არ ვგულისხმობ, არამედ იმ ფაქტს, რომ ჩვენი ისტორიული მეცნიერების მინაღწევარი არის „ტერა ინკოგნიტა“ ფართო მკითხველ საზოგადოებრივობისათვის

ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს საქართველოს მარქსისტულად დამუშავებული ისტორია, ხოლო ძველი გამოკვლევები ისევ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ, რომ ზოგჯერ პროფესიონალ მწერალსაც უჭირს მათი შოვნა. რაც შეეხება პოპულარულ ისტორიულ წიგნებს, მთლიან კურსებსა და ცალკე ნარკვევებს—ამაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება.

ყველას ახსოვს ის დაგა, რომელიც ატყდა ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს მწერალთა შორის ისტორიული და თანამედროვე რომანის შედარებითს აქტუალობაზე.

ჩემი აზრით, არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო მცდარი აზრი, ვიდრე ეს დაპირისპირება. განა ცხადი არ არის, რომ ისტორიული რომანი მარჯვე მწერლის ხელში შეიძლება უაღრესად აქტუალური გახდეს? ან რამდენი „თანამედროვე“ ნაწარმოები შექმნილა და იქმნება, რომლებიც მარილაკ რომ საარქივოდ გადაქცნენ.

საქართველოს მდიდარ ისტორიას ჯერ ქართველი მწერლის ხელი არ შეხებია ისე, როგორც ეს საჭიროა. უნდა კი ითქვას, რომ მასალის მხრით ჩვენს წარსულს იშვიათად შეედრება რომელიმე წარსული.

ასეთ პირობებში ს. კანდელაკის კვეკვ თან სდევს დიდი გამახალისებელი ინტერესი, მიუხედავად იმისა, რომ წვეთია ზღვაში.

გ. ქიქოძე მართალს სწერს წინასიტყვაობაში: „ამ პატარა ქრონიკის დაწერა თაკილო არ იქნებოდა არც ერთი ჩვენი მწერლისათვის“.

ს. კანდელაკის ნარკვევი წარმოადგენს ერთს მეტად დამახასიათებელ სტრიქონს ქართული ფეოდალიზმის ისტორიის ნელებათა წიგნიდან ამოფეფებულს. ავტორი უბრალოდ გვიამბობს ძმიმე ამბავს, სოდეს ამ მიმართვის ზედმეტ სამ ლებს, თუმცა ისტორიული ფაქტების წყრეს ყველგან არ იცავს. ამ პატარა ნარკვევიდან დაინახავს მკითხველი იყვნენ ქართველი თავადაზნაურები, გორ სწირავდნენ ისინი ხალხისა და ხელმწიფეებრივი ცხოვრების ინტერესთა. ისი პირადი კეთილდღეობისათვის.

გერ. ქიქოძის სხარტად დაწერილ სტატიაში გადმოცემულია ამ შემაძრწენელი ამბის ისტორიული და სოციალური განმარტება.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ ეს შესანიშნავი ნოველა თანამედროვე ქართველ მწერალსაც გაუღვიძებს ლიტერატურულ ლიტერესს ჩვენი ისტორიული ცხოვრების მი. გარდა ამისა, ძველ ეურნალებში დევ მოიძებნება მრავალი უცნობი და ხელმოუხვეველი ავტორის ნაწარმოები, რომელთაც დიდი ღირებულება აქვთ. ნოველის გამოცემა წამახალისებელ თაობნობად უნდა გადაიქცეს სხვათა გამოკვლევებისათვის.

წიგნაკი დაბეჭდილია და გამოცემულია სუფთად და გემოვნებით.

ბ. ნ.

—:—

ნ. აზიანი, პიესები, კ. აბაშიძის წინასიტყვაობითა და მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით, „ფედერაციის“ გამოეცა 1936წ.

ნ. აზიანი მთელი თავისი შემოქმედებით რევოლუციის წინა ეპოქას ეკუთვნის. თავის დროზე მის პიესებს დიდი გამახმაურება ჰქონდა და **სარეპერტუარო** პიესებად ითვლებოდა არა მარტო ჩვენს დიდ ქალაქებში, არამედ პრინციპიულ პროვინციალურ თეატრებშიც. ნ. აზიანის დაკვირვების არე უმთავრესად იმდროინდელი მეშჩანური საზოგადოება იყო. „ინჟინერი ან დოხტური“, „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“ ცოცხლად და ნიჭიერად მოხაზული სატირაა გახრწნილების უდიდეს წერტილამდე მისული ქართველი თავადაზნაურობისა და ნახევრად მოვაზეზე, ნახევრად მოვაჭრე პლუტოკრატიისა. დაჭკვიანებული ვაჭრები ახლა გ. ერისთავის გმირების რეცეპტებს აღარ მისდევენ და გაკოტრებული თავადიშვილების ხარისხს აღარ ეტანებიან. მათი იდეალი ახლა „ინჟინერი“ და „დოხტურები“ არიან, რომლებმაც მათ უნდა მოუტანონ ფული და დოვლათიანი ცხოვრება. იმდროინდელი საზოგადოების ეს მეშჩანური სულისკვეთება და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ოჯახური კოლიზიები ნ. აზიანის კომედიების მაგისტრალური ხაზს წარმოადგენს. ნ. აზიანმა დაინახა და მხატვრულ ფორმებში ჩამოაყალიბა ახალი ტიპები. „ჩვენ არა ვართ ჩვეულნი და განგებავრებულნი ქართულ სცენაზე ცხოვლად დახასიათებულ ადამიანების ხილვით. უფრო ხშირად ჩვენ ვხედავთ კარიკატურებს... ნ. აზიანი იმით არის შესანიშნავი, რომ შექმნა ლიტერატურაში ახალი ტიპები: ცხოვრებამ დიდი ხანია შექმნა იგინი, მხოლოდ ლიტერატურაში მათი დახასიათება ჰატივი ეკუთვნის ნ. აზიანს“. სწორია „ოვერია“ 19 წლის მეშჩანელ-ქალის ... ველი კომედიის დადგმის გამო.

რა თქმა უნდა, თანამედროვე მკითხველისთვის ნ. აზიანის პიესებს მხოლოდ ... ტორიული მნიშვნელობა ექნება. ნ. აზიანის ტიპები დიდი ხანია გადაგვარდნენ ... ცხოვრების ზედაპირიდან აღიგავენ. პიესებში „გათამაშებული კოლიზიები, ინტერესთა შეტაკება, თვით სიტყვა-პასუხიც უკვე დასამარებულ წარსულს ეკუთვნის. თეატრისა და ცა ტიპაჟის ერთფეროვანება, ... ლოგების პრიმიტიულობა, რომელიც ... ჯერ ვულგარულ გაუბრალოებამდე მიდ... დღეს ესტეტიური ტაბობის წყაროდ ... გადაიქცევა, მაგრამ მკითხველს მაინც ... დელობიდან არ გამოპარება მწერალ... მფეთქავი ნიჭი და მკვეთრი თვალი, რ... მელიც ცოცხლად ხედავდა თავისი დროს ... ბევრ სიმახინჯეს და დაუნდობლად ამ... რახებდა მას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარ... შემდეგ ნ. აზიანმა ერთხელ კიდევ სცადა ... ვის ამუშავება და ფანტაზიის გათამ... შება. მაგრამ მისი „დეზერტირკა“ უკ... ბდარე ხარისხის პამფლეტის ფარგლებ... ვეღარ გასცილდა. განწირული ადამიანებ... დზე და ღირს 1 მან. 50 კაპ. აღნიშნულ ეურნალზე ბიბლიოგრაფია მოთავსდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.



ნიკოლოზ ბარათაშვილი უკრაინულად

უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა უკრაინულ ენაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების სრული კრებული.

ლექსები და პოემა „ბედი ქართველისა“ თარგმნილია პოეტ კულიკის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს კულიკისავე კრიტიკული მიმოხილვა ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. წიგნს ბოლოში დართული აქვს ცალკეულ ლექსების კომენტარები.

კრებულში მოთავსებულია გუდიაშვილის მიერ დახატული ბარათაშვილის პორტრეტი და პოეტის ფაქსიმილე.

წიგნი დაბეჭდილია უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე. შეიცავს 138 გვერდსა და ღირს 2 მ. 90 კაპ.

ქართველი მწერლების თარგმანები

კიევში გამოვიდა უკრაინის საბჭოთა მწერლების რუსული სექციის ეურნალი „საბჭოთა ლიტერატურა“-ს მორიგი ნომერი. ეურნალში მოთავსებულია პავლიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მაშაშვილის და სხვათა ლექსები.

ბელინსკის საღამო მწერალთა სასახლეში

26 ივნისს ულრმესი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით აღნიშნა ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ უდიდესი რუსი კრიტიკოსის ბ. გ. ბელინსკის დაბადების 125 წლისთავი.

ამმ. ბ. ბუაჩიძემ თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა ბელინსკი, როგორც სოციალური სამართალია დემოკრატი და რეგოლუციონერი, რომელიც უაღრესი პრინციპიულობით და მგზნებარებით იბრძოდა რეალურ სინამდვილესთან ლიტერატურის მჭიდრო დაკავშირებისათვის და თავის კრიტიკულ წერილებში განსაკუთრებული სიცხოველით აყენებდა თავისი ეპოქის მღელვარე საკირბოროტო საკითხებს.

ბელინსკის ცხოვრების, ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის საფუძვლიან განხილვას შეიცავდა პროფ. ს. დანელიას მოხსენება. შეეხო რა ბელინსკის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და ესთეტიკურ შეხედულებების განვითარებას, მომხსენებელმა ვრცლად გაუშუქა ის გზა, რომელმაც დიდი კრიტიკოსი მიიყვანა რეგოლუციური დემოკრატიის იდეების აღიარებამდე და მხატვრული ლიტერატურის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლის მკაფიო შეგნებამდე.

ვ. გაფრინდაშვილმა და ალი არსენიშვილმა ილაპარაკეს ბელინსკიზე, როგორც მხატვრული კრიტიკის დიდ ოსტატზე, რომელიც აღჭურვილი იყო ცხოვრების, ხელოვნების, ლიტერატურის ღრმა ცოდნით და იშვიათი ესთეტიკური აღლოთი. ორატორებმა აღნიშნეს ის დიდი გავლენა, რომელიც თავის დროზე ბელინსკიმ მოახდინა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაზე და საერთოდ საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე.

—o—

მკითხველთა კონფერენცია ჯუღელის რაიონში

7 ივნისს ჯუღელის რაიონში მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა კონფერენციას დაესწრენ მკითხველები რაიონის ყველა თემიდან და კოლმეურნეობიდან.

მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის წარმომადგენელი პოეტი **ვასო გორგაძე,** რომელმაც ფართოდ გააცნო კონფერენციას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ლიტერატურას სოციალისტური მშენებლობის განმტკიცებისა და ახალი ადამიანების კომუნისტურად აღზრდის საქმეში და დაწვრილებით შეჩერდა სოფლის ლიტერატურული მუშაობის გაშლის საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: მაცარიძემ, (ჭალატყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) ჩუბინიძემ, (რადინოულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) გვეტაძემ, (საზანოს კოლმეურნეობა) დონაძემ, (სოფ. ფუთი) კ. კაპანაძემ, (სვირი) კ. გორგაძემ, (სოფ. ილემი) გაიოზ ფერაძემ, (სოფ. წიფლავაკი) და საქ. კ. პ. (ბ) ჯუღელის რაიკომიდან ამხ. ბარათელიან.

კონფერენციამ დაამტკიცა მკითხველ კოლმეურნეთათვის მხატვრული ლიტერატურის მინიმუმი და მაქსიმუმი.

კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა ამიერ კავკასიის ბოლშევიკების ორდენოსან ხელმძღვანელს ამხ. **ლ. ბერიას.**

დასასრულ, ვასო გორგაძემ კოლმეურნეებს წაუკითხა საკუთარი ლექსები და აგრეთვე ერთი თავი „ვეფხის ტყაოსნიდან“, ნაწყვეტი „აჩრდილი“-დან. „ხანჯალი“, „ინტერნაციონალი“, აკაკი წერეთლისა, ვაჟა-ფშაველას „მწყემსის ანდერძი“, „არწივი“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“.

კონფერენციას დაესწრო სამასი კოლმეურნე.

„ფედერაციამ“ გამოსცა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში სანდრო შანშიაშვილის „არსენა“, გრიშა აბაშიძის ლექსების კრებული, ირ. ევდოშვილის თხზულებათა 2 ტომი და ლავრენტი არდაზიანის თხზულებათა კრებული. არდაზიანის კრებულში მოთავსებულია „სოლომონ მეჯოლანუაშვილის“ გარდა მისი მეორე რომანი „მორჩილი“. ეს უკანასკნელი ცალკე წიგნად პირველად გამოდის და ფართო საზოგადოებისათვის უცნობია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი უკრაინულად

უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა უკრაინულ ენაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების სრული კრებული.

ლექსები და პოემა „ბედი ქართველისა“ თარგმნილია პოეტ კულიკის მიერ. წიგნს წამძღვარებული აქვს კულიკისავე კრიტიკული მიმოხილვა ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. წიგნს ბოლოში დართული აქვს ცალკეულ ლექსების კომენტარები.

კრებულში მოთავსებულია გუდიაშვილის მიერ დახატული ბარათაშვილის პორტრეტი და პოეტის ფაქსიმილე.

წიგნი დაბეჭდილია უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე. შეიცავს 138 გვერდსა და ღირს 2 მ. 90 კაპ.

ქართველი მწერლების თარგმანები

კიევში გამოვიდა უკრაინის საბჭოთა მწერლების რუსული სექციის ეურნალი „საბჭოთა ლიტერატურა“-ს მორიგი ნომერი. ეურნალში მოთავსებულია პავლიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მაშაშვილის და სხვათა ლექსები.

„ნიბელუნგების“ ქართული თარგმანის გარშემო

...რუსთაველის სახელობის ინსტიტუტმა მოაწყო დისკუსია **„ნიბელუნგენლიდი“-ს** თარგმანზე.

...უნდა ითქვას, რომ ასეთი დისკუსიები მისალმების ღირსად ჩაითვლებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ...ინი იწარმოებენ საკითხის ობიექტური განხილვის მიზნით.

...სამწუხაროდ ეს არ შეიძლება ...თქვას დ. ვირსალაძის მიერ 14 ივ...ისს წაკითხულ მოხსენებაზე.

...მომხსენებელმა ერთი სიტყვაც არ ...თქვა თარგმნის დადებით მხარეებ...ე. სამაგიეროთ დაიწუნა ყველაფერ..., რასაც კი ხელი შეახო. მან აღ...ოაჩინა ალმაშფოთებელი „შეცდომები“ არა მარტო თარგმნის ტექსტში, არამედ წიგნის გერმანულად ...კეთებულ წარწერაშიაც — კი. საოთა ეს „აღმოჩენები“ გამოვიტა...ით საზოგადოების სამჯავროს წი...შე.

...ქართული თარგმანის გერმანულ ...რწერაში აღნიშნულია **„უბერტ...გუნგ“.** მომხსენებელი შეეცადა ...დაემტკიცებინა, რომ ეს სიტყვა ...ნიშავს თარგმანს; ამის მაგიერ **...უბერზეტცუნგ“** უნდა ყოფილიყო. მომხსენებელს ზოგიერთი მომხ...ეც აღმოუჩნდა დარბაზში. **მერე** ...რია ეს?

...რამდენი თარგმანი არსებობს გერ...ულად, რომელთაც „უბერტრა...ნგ“ აწერია.

...მეორე მაგალითი: იქვე სწერია ...ტაატსეერლაგ გეორგიენს“, თუ...ი უნდა იწეროს „გეორგიშე“ ე. ი. ...ართული სახელგამი და არა საქართ...ლოს სახელგამი!

...ამას უწოდებენ საკითხის „მეცნ...ერულ ანალიზს“.

...ეს წვრილმანი მაგალითები საკ...ოდ მშერმეტყველურად ამჟღავნე...ნ ზოგიერთ კრიტიკოსის ცდას ...ქმნას მთარგმნელის ირგვლივ ...ენსაცია“ და წყალში გადაუყაროს ...თი წლის დაუღალავი შემოქმე...ებითი შრომა.

მომხსენებელმა „კომუნისტ“-ში ...მოქვეყნებულ რეცენზიის ავტორ...დაც ილაპარაკა.

მომხსენებლის აზრით, რეცენზენტი კონსტანტინე ჭიჭინაძის წინასიტყვაობიდან იწერს შეცდომებს. მაგალითად, კ. ჭიჭინაძე ამბობს „ათი ათას სტრიქონში მე ხუთიათასი რითმა მაქვს და ამას რეცენზენტი უკრიტიკოდ იმეორებსო, მაშინ როდესაც აქ ათიათასი რითმა არისო!

დღეს პირველი კლასის მოწაფეშაც კი იცის, რომ მაგალითად ორსტრიქონიან ლექსში ერთი რითმაა და არა ორი.

აი ნიმუშიც:

„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაეგბას,
„ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას“.

დე, მომხსენებელმა თვით დასთვალოს რამდენი რითმაა ამ ორ პწკარში და მერე გამოარკვიოს, ვინ არის მართლაც უვიცი პოეტიკის საკითხებში.

შეეხოთ ახლა ზოგიერთ პრინციპულ მოსაზრებას, მომხსენებელმა პირველ ნაწილში ვრცლად ილაპარაკა „ნიბელუნგენლიდის“ ვერსიფიკაციის საკითხზე. აქ მან უთუოდ პუნქტუალურად გადმოიწერა ის კარგი და ცუდი გამოკვლევები, რომლებიც „ნიბელუნგენლიდის“ ბიბლიოთეკაში უხვად მოიპოვება. მაგრამ მაინც მცირე რამ სთქვა თარგმნის შეფასებისათვის.

გერმანულ და ქართულ ლექსთწყობას თავისი კანონები გააჩნია. ამაოდ უნდა